

# პიონერი

საბავშვო  
გაზეთი




№ 7  
1929

სახელგამი

8






## როგორ მოვაწყადოთ ჩვენი ბანაკობისათვის

ჩვენი ჩვეულებრივი უბედურება საშუალებათა უქონლობაა, მაშასადამე, აუცილებელი მოწყობილობაც არა გვაქვს. შესძლებს კი ყველა რაზმი მოწყობილობის ყიდვას საკუთარი ბიუჯეტიდან გაღებული თანხით? რაზმების დიდი ნაწილი ამას ვერ შესძლებს, მაგრამ შეიძლება კი ძალიან ბევრი რამის გაკეთება საკუთარი ძალებით, ვიყიდით კი მხოლოდ იმას, რის გაკეთებაც არ შეგვიძლია. თავისი უტილიტარული (სასარგებლო) მნიშვნელობის გარდა, ამ მუშაობას დიდი აღმზრდელობითი შედეგი ექნება, ვინაიდან ამ დროის განმავლობაში ბავშვებს მიეცემათ შესაძლებლობა გაეცნონ ნემსს, ხერხს, სალაშინს. ყველა მუშაობა საბანაკო მოწყობილობათა მომზადებისათვის კოლექტიურად უნდა წარმოებდეს. პირადი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ასეთი კოლექტიური მუშაობა (სიმღერებით, ოხუნჯობით და სანტერესო საუბრებით) დიდს პოპულარობით სარგებლობს ბავშვებში. კარავების და ჩანთების შეკერვა შეიძლება რაზმის შეკრებებზე, ხოლო ქვაბების შეკეთება და პალოების გაკეთება როგორც უნდა მიენდოს. ამ წერილში გვიამბობთ, საბანაკო მოწყობილობიდან რა და როგორ შეიძლება გაკეთდეს რაზმის საკუთარი ძალებით.

### კარავი

კარავის მნიშვნელობაზე ლაშქრულ-საბანაკო ცხოვრებაში ლაპარაკიც ზედმეტია, — ეს ყოველი ხელმძღვანელისათვის ცნობილია. მის ძირითად დირებულებად ითვლება სიმჩატე და პორტატიულობა (პორტატიული — ადვილი სატარებელი), რაც იძლევა საშუალებას კარავი ყველგან წავილოთ თან. ჩვეულებრივი სალაშქრო კარავი შესდგება 6 ტი-


ლოსაგან, 3 დასაშლელი სარისაგან, 8 თოკისაგან (კარავის შესაკერავად), 8 ხის



ნახ. № 1.

პალოსაგან, რომლებზეც თოკს აბამენ. პიონერებს შეუძლიათ თვითონ შეკერონ კარავები, გააკეთონ პალოები, ეს კი ძალზე შეამცირებს ხარჯს, ვინაიდან დამზადებული კარავი ძალზე ძვირი ღირს.

თქვენ მხოლოდ მასალის, თოკების ყიდვა დაგჭირდებათ.




კარავისათვის კარგ მასალად

ნახ. № 2.

ითვლება თხელი ტილო, თხელი ბრეზენტი ან უფრო უკეთესი სპეციალური მასალა, რომელიც ჩვეულებრივად გაყიდნითლია განსაკუთრებული ხსნარით, რომლითაც ის გახამებულია. მფარველი ფერის ეს ქსოვილი ტფილისში მეტრი 1 მ. და 20 კ. ღირს; მთელ კარავს 18 მეტრი სჭირდება, რაც შეადგენს 21 მ. 60 კ. ამის გარდა, უნდა იყიდოთ 21 მეტრი მაგარი თოკი, სიმსხოთი დაახლოებით 1 სმ. შეიქნეთ რა მთელ მასალას, შეიძლება შეუდგეთ კარავის დამზადებას.

### როგორ შევკეროთ ტილო?



ნახ. № 3.

თვლები ვერ მიუდგება ერთმანეთს, და მაშინ ვერასდროს ვერ დადგამთ წესიერ კარავს. ტილოს ჩვეულებრივი ზომაა — 150 სმ. X 150; ასე რომ თუ ქსოვილის განი 75 სანტიმეტრია, თქვენ უნდა დასჭრათ ეს 18 მეტრი 1, 5 მეტრის ნაჭრებად. მიაკერეთ ეს ნაჭრები ერთიმეორეს (იხ. ნახ. 1) ისე, რომ კვადრეტი მიიღოთ. ეხლა გადალუნეთ ტილოს ბოლოები ისე, როგორც ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე, გადაუტეხეთ ნაპირები საკვრავ მანქანაზე. ბოლოების გადალუნვა ერთი მხრივ

მხედველობაში უნდა გქონდეთ, რომ ყველა ტილო ერთი ზომისა უნდა იყოს და ყოველი სწორ კვადრატს უნდა წარმოადგენდეს, წინ აღმდგე შემთხვევაში

გველდები და





# კიონეში

1929

15 აპრილი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-  
ების და განათლების სახალხო კომისარიატის სფიალური  
აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV  
№ 7

## ათი წელი მუშურ-გლეხური სახალხოვნო სათავაზი

მიმდინარე წლის 24 მარტს ათი წელი შე-  
სრულდა, რაც ამხ. მიხეილ ივანეს ძე კალინინი ცენ-  
ტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომა-  
რედ არის.

ამხ. კალინინი დაიბადა  
1875 წელს სოფ. ვერხნაია  
ტროიცაში (ტვერის გუბე-  
რნია), წერა-კითხვა თვითონ  
შეისწავლა. 16 წლის კალი-  
ნინი ხარატად შევიდა პუტი-  
ლოვის ქარხანაში, სადაც გა-  
ეცნო არალეგალურად მომუ-  
შავე რევოლუციონერებს და  
სოც.-დემოკრატიულ ლიტე-  
რატურას.

1898 წელს იგი უკვე  
შედის სოც.-დემოკრატიულ  
ორგანიზაციაში და ერთი  
წლის შემდეგ მას აპატიმრებენ  
პეტერბურგის მუშათა კლასის  
განთავისუფლებისათვის მე-  
ბრძოლთა კავშირის საქმეების  
გამო.

ერთი წლის პატიმრობის შემდეგ იგი გამოემგზავ-  
რა ტფილისში, სადაც აწარმოებდა რევოლუციონურ  
მუშაობას ტფილისელ მუშებს შორის. ტფილისიდან  
მალე რეველში გადასახლეს. 1903 წლის 9 იანვარს

კალინინს აპატიმრებენ და აგზავნიან პეტერბურგის  
ციხეში, სადაც 6 თვეს იჯდა. ამის შემდეგაც კალი-  
ნინი რამდენჯერმე დაატუსაღეს და გადაასახლეს.



ამხ. კალინინი

ოქტომბრის რევოლუ-  
ციაში ამხ. კალინინი აქტიურ  
მონაწილეობას იღებდა. 1919  
წელს არჩეულ იქნა ს. კ. პ.  
(ბ) ცენტრალური კომიტეტის  
წევრად. ი. მ. სვერდლოვის  
(ცაკის პირველი თავმჯდომა-  
რის) სიკვდილის შემდეგ,  
ლენინის წინადადებით, 1919  
წელს ამხ. კალინინი არჩეულ  
იქნა რ. ს. ფ. ს. რ. ცაკას თავ-  
მჯდომარედ, ხოლო 1922  
წლიდან — საბჭოთა კავშირის  
ცენტრალური აღმასრულებე-  
ლი კომიტეტის თავმჯდომა-  
რედ.


ამხ. კალინინის მუშაო-  
ბა მისაბაძია ყველა ჩვენგა-  
ნისათვის. მის მაგალითზე

უნდა ვისწავლოთ შრომისმოყვარეობა და მუშათა  
საქმისათვის თავდადება.

ჩვენი მხურვალე პროლეტარული და პიონერუ-  
ლი სალამი ამხ. კალინინს!..



# სახანძრო



ერთ შაბათს დილაადრიან შევიდა ლენინგრადის ნავსადგურში ინგლისის გემი „ბრუნგილი“.

ამ გემის მეზღვაური ზანგი ნაინტი შეჩვეული იყო ყოველ სადგურზე გადმოსვლას, დახეტილობდა ქალაქში და თავს ირთობდა ქუჩის სხვადასხვა სანახაობით. მას დიდი ხანია მშობლები მოუკვდა; დარჩა ობოლი. შემთხვევით მოხვდა გემზე და დღესაც იქ მუშაობს.

ეხლა ნაინტიმ ლენინგრადის ქუჩებზე მოისურვა ხეტიალი. გემის ბაქანიდან გადმოვიდა, შეამჩნია დარაჯი და შეჩერდა. უბიდან პატარა წიგნაკი ამოიღო. ვახსენდა რაღაც. ამ ერთი თვის წინად ავსტრალიის ერთ-ერთ სადგურზე იქაური მეზღვაური უამბობდა მას ლენინგრადში არსებულ მეზღვაურთა საერთაშორისო კლუბის შესახებ. მაშინ ჩაიწერა ხსენებული კლუბის მისამართი. ავსტრალიელი მეზღვაური უამბობდა, რომ რაც მან გაიგონა რუსეთის მეზღვაურთაგან, ყოველმა მეზღვაურმა უნდა იცოდესო. ლივერპულიდან ცეილონამდე, გემიდან გემშივე ყველა ქვეყნის მეზღვაურები ერთმანეთს გადასცემენ ამბავს მეზღვაურთა ამ განსაკვიფრებელი საერთაშორისო კლუბის შესახებ.

ეხლა ნაინტიმ მოიგონა უბის წიგნაკში ჩაწერილი მისამართი: **ლენინგრადი, ოგოროდნიკოვის პროსპექტი. მეზღვაურთა საერთაშორისო კლუბი.** ეს მისამართი რუსულად ჩაუწერა მას იმ მეზღვაურმა, რომელიც შემთხვევით გაიცნო ავსტრალიის ერთ-ერთ ნავსადგურში. ნაინტიმ რუსული არ იცის. დარაჯს მიუახლოვდა. უჩვენა წიგნაკში ჩაწერილი მისამართი. დარაჯმა ღიმილით შეხედა მოკუნტულ ზანგს და ხელი გაუშვირა პირდაპირ შენობისაკენ, სადაც მოთავსებული იყო ხსენებული კლუბი. ნაინტიმ მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და სირბილით გასწია კლუბისაკენ.

დარბაზში თამბაქოს კვამლი დვას. იქ თავმოყრილი არიან სხვადასხვა ეროვნების მეზღვაურები. საუბარი და კამათია, ჭადრაკს თამაშობენ. ვის არ ნახავთ აქ: ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს, ინდოელს და სხვებს. აქ მეზღვაურები ეცნობიან ერთმანეთს და თავის თავგადასავალს უამბობენ. კამათია მეზღვაურთა მდგომარეობის, შრომის პირობების და რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. მეზღვაურები უკმაყოფილონი არიან მცირე ხელფასით. ნაინტი ხარბად უსმენს მათ, რომ არც ერთი სიტყვა არ გამოეპაროს. მეზღვაურთა უფროსს გამოეხმაურა ბოცმანი გრეხე. მან ლანძღვა-გინებით მოიხსენია გემის პატრონთა კავშირი, პენსია რომ წაართვა 80 წლის ჯეკ უაიტს, რომელსაც 60 წ. უტურნია ინგლისური გემებით სხვადასხვა ზღვაზე.

კლუბიდან გულგახარებული დაბრუნდა ნაინტი. გემის ბაქანიდან დახვდა იგივე დარაჯი. გაუღიმა, ჯიბიდან ამოიღო ინგლისური თამბაქო და მიაწოდა. დარაჯმა გამოართვა, დაყნოსა და ღიმილით ჰკითხა: ინგლისური თამბაქოა!?

— კარგია.

— კარგია, ჩემო ძმაო, მაგრამ რომ ვერ მოვწევ!.. ნაინტიმ უეცრად ამოიღო ჯიბიდან მარტოთი გასვრილი ჩიბუხი, გაუწოდა და დამტკრეული რუსულით უთხრა: „პოლისმენი ხარ?“

დარაჯს გაეცინა. თვალები გაუბრწყინდა.

„ჰ-ჰ-ჰ! პოლისმენი! პოლიციელი! ბრიყვი ყოფილხარ: აქ შენ ინგლისი ხომ არ გგონია!“ აქ ნაინტის გემიდან ბოცმანის ნაცნობი ხმა შემოესმა. გაჯავრებული ბოცმანი უყვიროდა მორიგ მეზღვაურს, რომ თვალი ედევნებია ინგლისელი მეზღვაურებისათვის, რომლებმაც კავშირი გააბეს რუს მეზღვაურებთან. ეხლა ბოცმანი აშკარად ხელდავს რუს დარაჯთან მოსაუბრე ნაინტის. უფრო ჯავრდება.

ბაქანზე ხმაურობაა. ნაინტიმ წასვლა დააპირა. დარაჯმა ხელი გაუწოდა, შეამჩნია, რომ ზანგს ძლიან შეეშინდა გაბრაზებული ბოცმანის. უკანასკნელად მოსწია ჩიბუხი და ნაინტის გაუწოდა:

— გმადლობთ, ჩემო ძმაო! ეხლა წადი აქედან, თორემ მოგცხებენ!

ნაინტიმ ჩიბუხი არ გამოართვა.

— არა, არა, მე არ წავიღებ, შენ გქონდეს სახსოვრად!

დარაჯს სიხარულით გაუწია თვალები. სწრაფად ჩაიყო ჯიბეში ხელი, უნდოდა სამაგიერო საჩუქარი მიეცა მისთვის, მაგრამ ფოლაქი-ლა ამოყვა ჯიბიდან. — ტფუ! უამოიძახა მან და ძირს გადაავლო. — მე არაფერი მქონია, ჩემო მეგობარო, — დაუმატა მან და უხერხულობა იგრძნო.

ნაინტიმ სასწრაფოდ დაავლო ხელი ფოლაქს და ღიმილით შეხედა მას. დარაჯი გრძნობდა, რომ პატარა ზანგს არ უნდოდა მისი მოშორება, მაგრამ ჩასკიდა ხელი ხელში და უთხრა:

— წადი, წადი, თორემ მოგხვდება!

ნაინტიმ კვლავ ღიმილით გადახედა დარაჯს და ბაქანზე აირბინა.

გემზე იქვის თვალებით უყურებდნენ ნაინტის. უფროსი მემანქანე სულ უყვიროდა:

— რისთვის არ მოგაქვს საკმაო ნახშირი... ნუ ხარ მაცობ, დატრიალდი, თორემ...



# თასვის კავანია

მზე ბორბალივით ამოტრიალდა,  
ცა იხედება სახეკრიალა,  
მაღალ მთებს მკერდი გადაუშალა,  
დაბერა მთიდან გრილმა ნიავემა!

ნისლიან მინდვრებს ჯერ სძინავთ ჩუმად,  
მაგრამ ხმაურობს უკვე სოფელი.  
წამოიშალენ მხნედ, მხიარულად,  
სხივიც იცინის, შუქის მთოველი.

ეს რა სიცილი სწვევია დილით,  
ეს ხმები ვილას მოუტანია?  
გლეხები ტრაქტორს, ვხედავთ, სინჯავენ,  
ტრაქტორს შესტრფიან რკინისტანიანს!..

ვინ-ღა ინატროს ლომა-ნიკორა!..  
ფიფქივით გაქრა ძველი დროება.  
ეხლა ტრაქტორი ზათქით მოგორავს,  
დაერღვა სოფელს დღის მყურღობა.

შეუდგენ საქმეს. მუშაობაში  
ჩააბეს მთელი მოსახლეობა,  
თუ ჩვენ გლეხობას დავეხმარებით,  
წინ წავა ჩვენი მეურნეობა!..

## გოგი ლომიძე

მაგრამ ტრაქტორის გუგუნზე უფრო  
პიონერთ ხმები გაისმის მტკიცედ,  
უხმობენ გლეხებს: „მოდით! მოგროვდით,  
ხედავთ, საყვირი თქვენ გინმოხბთ ისევ!“

ჰა, ტრიბუნაზე ავიდა ერთი.  
— ამხანაგებო!  
— გვითხარი, რა გსურს?  
— თესვაში ყველა დაგენმარებით,  
წინდაწინ მოგცემთ რჩევას მეგობრულს.

თუ გინდათ ყველას, რომ მოსავალი  
იყოს კარგი და ნაყოფიერი,  
აღარ ვიდარდოთ პურზე, ხორბალზე  
და რომ არ იყოს არვინ მშვიერი,

ამიტომ თესლი კარგად გავწმინდოთ,  
გახსოვდეთ მუდამ, რომ სარეველა  
თუ შეეპარა, ნათესს მოგისპობსთ,  
დაგვეთანხმებით, მგონია, ყველა.

ნაინტი არა ერთხელ შემხტარა ყვირილზე და ში-  
შითვე მიუტანია ნახშირი მემანქანეებისათვის.

— ამ ფერად ქინკებს ვერაფერი გავუკვი. ეს შავა-  
ნიანები და ყვითელკანიანები, როგორც კი შევლენ ამ  
დასანგრევ ლენინგრადში, ირყუნებიან. მათი მორჯულე-  
ბა ძალიან ძნელია, — სთქვა მემანქანემ და ბოცმანს გა-  
დასძახა:

— გადახედე, რას შერება ის შავი ლეკვი იქ?

— გისმენ! — მიუგო ბოცმანმა და გასწია სანახ-  
შირო საწყობისაკენ, სადაც ნაინტი გაცხარებით ესაუბ-  
რებოდა ინდოელ მეზღვაურს. ბოცმანმა შეუყვირა მათ...

— ახ, შენ მყრალო ზანგო, რას ბურდღუნებ აქ?  
არ იცი, რომ მანქანებს ნახშირი აკლია? გასწი ეხლავე,  
გასწი, თორემ...

ნაინტი მორჩილებით ათმენდა შეურაცხყოფას და ქშე-  
ნით მიათრევდა ნახშირს მანქანისაკენ.

ნავსადგურში „ბრუნვილდა“-ს ჭაჩერებიდან სამი  
კვირის შემდეგ ბაქანზე გამოცხადდა თავიდან ფეხებამდე  
შეიარაღებული ხალხი. მეზღვაურებს უბრძანეს გამოსუ-  
ლიყვნენ მზით გავარავარებულ ბაქანზე. შეიარაღებული  
ხალხი შევიდა გემის ოთახებში. დაიწყო ჩხრეკა. გემზე  
გაუჩხრეკელი არ დარჩენილა არცერთი ადგილი. მრავალ-  
ჯერ გადააბრუნ-გადმოაბრუნეს ლეიბები, ყუთები, მაგი-  
ლები და ყველაფერი, რაზეც შეიძლებოდა იჭვის მიტანა.

ბრინჯაოსფერტანიანი, დიდთვალა ინდოელები, ვიწ-  
როთვალა ჩინელები, ფართომკერდიანი თეთკბილა ზან-  
გები და დაბალტანიანი იაველები მოუთმენლად ელო-  
დენ გაჩხრეკის დამთავრებას. მათ სახეს მოწყენა და დალ-  
ლილობა ეტყობა. მზისგან გახურებული ბაქანი სწვავს  
შიშველ ფეხებს.

ტანმალალი ორი პოლიციელი ჩხრეკს ბაქანზე ჩამწყრი-  
ვებულ მეზღვაურთა რაზმს, მათი საყელოებიც კი არ  
ჩრება გაუსინჯავი.

ნაინტის მუხლები ეკეცება დალილობისაგან. მხურ-  
ვალე მანქანებთან მთელი ღამეებით უძილოდ ყოფნამ  
უშედევოდ არ ჩაიარა. კიდევ ერთი უძილო ღამე, და  
ის ძირს დაეცემა მძიმე ავადმყოფი. რკინის მხურვალე  
ზოდები სწვავს ფეხებს, ტერფის მეტისმეტი ტკივილისა-  
გან ნაინტიმ შეჰკივლა.

— ვაიმე!

ბოცმანმა გაიგონა მისი ხმა. მობრუნდა და თვა-  
ლებში ჩააცქერდა ზანგს:

— რა ამბავია? — შეუყვირა მოკუნტულ ზანგს.

ნაინტიმ შეხედა ბოცმანს, თვლებით ანიშნა სასო-  
წარკვეთილება და შეიგმინა:

— რა მხურვალეა ეს ბაქანი! ცეცხლივით მწვავს  
ფეხებს. როდის გადავრჩებით ამ სასჯელს!

— ხმა! კრინტი! — შეუტია ბოცმანმა.

— მხურვალეა, ბატონო! ფეხები მეწვის! — ბურდღუ-  
ნებდა ნაინტი და ცრემლს ყრიდა.

— როგორ ვერ უძლებ! აი, შე ძაღლის მოდგმავ! —  
დაემუქრა ბოცმანი.

— რას მერჩით, რა დაგიშავეთ? — ვედრებით დაი-  
წყო ზანგმა.

— რას და ამას! — შეუყვირა ბოცმანმა და მუშტი გა-  
არტყა სახეში. ზანგს თვალთ დაუბნელდა. პირიდან  
სისხლმა იფეთქა და სისხლთან ერთად გადმოუფარდა და-  
რაჯის მიერ ნაჩუქარი ფოლაქიც. იქვე მდგარმა ერთმა  
პოლიციელმა წაავლო ხელი ფოლაქს და ბოცმანს გა-  
დასცა. ფოლაქის ერთ მხარეზე ჩაქუჩი და ნამვალი ეხატა.

— ჰა, შე ძაღლის ლეკვო, ამას მალავდი?

ნაინტიმ დაღრეჯით ასწია თავი და მოუთმენლად  
წამოიძახა:

— საჩუქარია, ნუ წამართმევთ!

გარინდებული პოლიციელები ხარბად ათვალეირებ-  
დენ სისხლიან ფოლაქს.



# გადავლივართ გუზაოგის ახალ სისტემაზე

საქართველო  
საბჭოთაო

ბევრ თქვენგანს ახსოვს ალბათ, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ორგანიზაცია ამ ორი წლის წინად. ხშირად გესმოდათ პიონერებისაგან: „ალარ ვივლი კოლექტივში, მომეწყინა მაგათი საუბრები. კინოში წავალ, ის არა სჯობია?“. მართალი იყვნენ თუ არა პიონერები, რომლებიც ასე იძახდნენ და სტოვებდნენ კოლექტივს? საწმენდაროდ, უნდა ვთქვათ, რომ მართალი იყვნენ. ამას გრძნობდით თქვენც, გრძნობდით, რომ „რალაც“ გაკლდათ. კოლექტივში იმიტომ კი არ დადიოდით, რომ გიზიდავდათ კოლექტივი, მიდიოდით ჩვევით, და როდესაც კომკავშირი დააფიქრა ბავშვების დაუინტერესებლობამ და ორგანიზაციიდან წასვლამ, აღმოჩნდა, რომ „რალაც“ არ არის. ეს „რალაც“ იყო ჩვენი მუშაობის დაძველება. ის, რაც აქამდე სანტერესო იყო, ეხლა უკვე მოგებურდა. გასაბჭოების შემდეგ ბევრი რამ ვისწავლეთ. ის ცოტა, რასაც კოლექტივი გვაძლევს, ალარ გვყოფნის. ყველაფერი ეს აღრიცხა კომკავშირმა და თავის მე-8 საკავშირო ყრილობაზე დაადგინა გამოცემა ახალი რამ, ისეთი, რაც ძირიანად გარდატეხდა ჩვენს მუშაობას. გამოცემა კიდევ — **მუშაობის ახალი სისტემა**.

რა არის ეს ახალი სისტემა?

ბევრ ხელმძღვანელს და პიონერს სწორედ ვერ წარმოუდგენია ახალი სისტემა. მათ ის წარმოუდგენიათ ისე, თითქოს მისი შემოღებისათვის წლობით უნდა ემზადნენ. ეს ასე არ არის. ახალი სისტემა უპირველეს ყოვლისა მუშაობის აგებაა თქვენ მოთხოვნილებებზე, რაც აცხოველებს და ამხიარულებს რგოლების და კოლექტივების მუშაობას, მეორე — როდესაც პიონერები მუშაობის დროს ასრულებენ **საერთო საქმის ნაწილს**, როდესაც მუშაობენ ყველანი და არა აქტივისტთა პატარა ჯგუფი, როდესაც დაწყებულ საქმეს მიიყვანენ ბოლომდე და სხვ.

საჭიროა თუ არა ეს? ეს იცით თქვენ. გარდა ამისა, კარგი გაკვეთილია ჩვენთვის ჩვენი მტრების მოქმედება: ამერიკის სკაუტებმა გადმოისროლეს 1927 წელს „საზოგადო“ ლოზუნგი: „ყველა სკაუტმა უნდა გააკეთოს რაიმე კეთილი საქმე“. ვიცით, ვისთვისაც იქნება ეს „კეთილი“ საქმე (ბურჟუაზიისათვის, იხადია), მაგრამ ორსაშესანიშნავი აქ ის არის, რომ ბავშვები საზოგადოებას უახლოვდებიან. მეორე მაგალითი: იმავე ამერიკაში კაკლის ხის კრიზისია. სკაუტების ორგანიზაციამ დაადგინა: „ყოველი სკაუტი ვალდებულია დარგოს და გაზარდოს ერთი კაკლის ხე“. ბულგარეთში ამ ახლო წარსულში იყო მიწისძვრა, აუარებელი ხალხი დარჩა ობინოდ და მივირ-მწყურალო. სკაუტებმა კი დააარსეს სამი უფასო სასადილო 400 კაციისათვის და მიაშურეს დაზარალებულ ადგილს. ამ დიდი დახმარებით მათ მოიგეს მშრომელი ხალხის გული, რომ უფრო კარგად შესძლნენ მერე მისი მოტყუება. ეს მაგალითები გვიჩვენებს, თუ რამდენად სასარგებლო და აუცილებელია საზოგადოების ყურადღების დაპყრობა. თუ ამას ახერხებენ ჩვენი მტრები, რომელთა წესდებაც ამბობს: „სკაუტი ერთგულია ღვთის, მეფის და სამშობლოსიო“, რა უნდა გვექნა ჩვენ, სად უნდა გადაგვეტანა ჩვენი მუშაობის სიმძიმე? ამას უპასუხებს ჩვენი წესდების 1 მუხლი პიონერი ერთგულია მუშათა კლასის და მისი ინტერესების.

ამართლებს თუ არა ამას ჩვენი დღევანდელი მუშაობა (სიმღერა, თამაში, საუბრები)? ცხადია, არა. ამას ამბობს ახალი სისტემა. ამიტომ ახალი სისტემა ჩვენთვის აუცილებელია. პიონერ-მუშაკთა თათბირმა დაადგინა „თათბირს აუცილებლად მიაჩნია, რომ საქართველოს ნ. პ. ორგანიზაცია გადავიდეს მუშაობის ახალ სისტემაზე“ (მუხ. 1).

მთელი რივი ორგანიზაციები უკვე გადადიან ახალ სისტემაზე, აი რამდენიმე მაგალითი:

ტფილისის ყველა რაიონმა ჩატარა პიონერთა კონფერენციები. პიონერები მანდატებით და „ნაკაზებით“ იკრიბებიან კლუბებში. გამოდის რაიბიურო, აკეთებს მათ წინაშე ანგარიშს. პიონერები კიცხავენ მას. „თქვენ კაბინეტებში სხედხართ, არ იცით ჩვენი გასაჭირი, ბინა არ გვაქვს, სახელოსნო გვინდა გავხსნათ — პირობები ხელს არ გვიწყობს, პარტია და კ. კ. არ გვეხმარება“ — ლაპარაკობს ერთი. „პიონერები გვცინიან, სკოლაში საკლუბო დღე გვინდოდა მოგვეწყო, ადმინისტრაციამ ნება არ მოგვცა, თქვენ ამაზე ზომები არ მიიღეთ“ — ამბობს მეორე. „მოზარდ მაყურებელთა თეატრი შორსაა ჩვენგან, მუშათა კლუბებს არ კადრულობენ, სულ ცენტრისაკენ მიიწევენ, ჩვენ კი იქ საარსული არ შეგვიძლია, ბილეთები ძვირია და სხვ. პიონერებს არ მოსწონთ სომხური და თურქული საბავშვო ჟურნალების შინაარსი. მათ დაადგინეს „ეთხოვოს ცენტრალურ ბიუროს გააუმჯობესოს ჟურნალები და დაგვიახლოვოს ბავშვებს“.

ბათუმის ბერძნული სკოლის კოლექტივის ბავშვებმა ერთი კომკავშირელის დახმარებით მოაწყეს წრე, რომელშიაც გააკეთეს ჯადოლხური ფანარისათვის სურათები (ღიაპოზიტების), თხოვლობენ ხანდახან თვით ფანარს და მშობლებს უწყობენ კინო-ლექციებს.

ქუთაისის ერთ-ერთ სკოლასთან არსებულმა კოლექტივმა დაადგინა მიიღოს უშუალო მონაწილეობა საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში: ამოირჩიეს რამდენიმე პიონერი და გაგზავნეს საარჩევნო კომისიაში. კომისიის დახმარებით მათ შეადგინეს გეგმა, თუ რაში უნდა გამოხატულიყო კოლექტივის მონაწილეობა. ეს გეგმა განხილულ და დამტკიცებულ იქნა კოლექტივის მიერ, რის შემდეგაც განაწილებულ იქნა სურვილისამებრ რგოლებს წორის მუშაობა. საუცხოვო სანახავი იყო მათი მუშაობა. ერთმა რგოლმა დახატა მაზრის ეკონომიური და კულტურული განვითარების დიაგრამები, მეორემ მუშათა (მშობლების) კლუბი და სხვ.

აი, ეს ორი პატარა მაგალითი, თუ როგორ ტარდება კოლექტივში ახალი სისტემა. იქ ჩვენ ვნახეთ საზოგადოების სარგებლიანობაც, დაინტერესებაც, თვითშემოქმედებაც და ცოდნის შეძენაც. აი ამას ჰქვია მუშაობა ახალი სისტემით. მაგრამ ეს მხოლოდ მაგალითებია. ჩვენ კი ვვინდა, რომ ასე მუშაობდეს ყველა კოლექტივი. ამისათვის საჭიროა:

1. ყოველმა ხელმძღვანელმა, პიონერ-აქტივისტმა და პიონერმა უნდა შეითვისოს ახალი სისტემა. უკვე გამოვიდა წიგნი „ახალი სისტემით მუშაობა“. წაიკითხეთ ეს წიგნი და დაამუშავეთ რგოლებში. თუ რაიმე ვერ გაიგეთ, დაუძახეთ კოლექტივის ხელმძღვანელს, მოითხოვეთ აქტივის კრებაზე მოხსენება ახალ სისტემაზე და სხვ.

2. როდესაც გაიგებთ თქვენ ახალ სისტემას და გააგებინებთ სხვებსაც (მშობლებს, უჯრდს, სკოლის მოწვეულებს), საჭიროა შეადგინოთ მუშაობის გეგმა. გეგმა უნდა შესდგეს ასე: იკრიბება რგოლი. რგოლის ხელმძღვანელს ჯიბეში აქვს წიგნი „ახალი სისტემით მუშაობა“, სადაც ჩამოთვლილია მაგალითისათვის საქმეები. იციან რა პიონერებმა ახალი სისტემის არსი, ამბობენ რა სურთ მათ, რომ გააკეთონ საგეგმო ხანაში (1 თვე), როგორ გააკეთონ, ვის მიანდონ. თუ ვინცოცაა პირველ ხანებში პიონერებს გაუძნელდებოთ სანტერესო და სასარგებლო საქმის შერჩევა, წაკითხული უნდა იქნეს საქმეების სია (რომელიც წიგნშია), სადაც პიონერები ამოარჩევენ მათთვის მისაღებ საქმეს.

3. გეგმა უნდა იყოს პატარა, უბრალო. ის აუცილებლად უნდა შესარულდოს. არ მიატოვოთ არასოდეს დაწყებული საქმე. მიიყვანეთ ის ბოლომდე. აი, როდესაც ამ სამ პატარა მუხლს შევასრულებთ, მაშინ ვიტყვი: „ჩვენ ვმუშაობთ ახალი სისტემით“.

მ. ელიჯარაშვილი




# სოფლად.

წამოვიდა ციდან წვიმა,  
დასველა ყანა, ველი;  
გლახმა სათიბს გაუცინა  
და აღმართა მაღლა ცელი.  
გვალვით გადამხმარმა მიწაჲ  
სიხარულით გაიზმორა;  
ტყემ ქათიბი გადაიცვა,  
ტყემ ფოთლები გაისწორა.

ამ სოფელს და მაღალ ოდებს  
აჩუქურთმებს მზე სხივებით;  
ო, მსურს მუდამ რომ ისმოდეს  
შრომისა და ბრძოლის ხმები.  
ცელქი სიო ნაწვიმ ბაღებს,  
სიხარულით, შვეებით ავსებს;  
ცელქი სიო სოფლის თავზე  
არხევს წითელ ბაირაღებს.

ო. ა.



პიონერები საზენკლო გირაგებთან,

## საგზაფხულო

გუშინ თუ ვდევდით ნამქერს,  
გუშინ თუ თოვდა და წვიმდა,  
დღეს იმედებით სავსე  
მზე იხედება ციდან.

დროშას გაშლილს და წითელს  
ესდიოთ, შემოვერკალოთ...  
სხივიც ეფრქვევა მინდვრებს,  
როგორც თავთავი კალოს.


იღგა სუსხი, და ჩვენი  
ხმა გაისმოდა მაინც,  
ეხლა კი, ძმებო, ისევ  
ვხვდებით მზესა და მაისს.

მაგრამ იმისთვის როდი  
ველით ჩვენ დღეებს მზიანს,  
რომ ვეალერსოთ გზებზე  
იელს, ვარდსა და იას.

ჩვენს სიმღერას და რიგებს  
შეურხევია ქვაც...  
ეხლა კი დროა, ძმებო,  
სოფლად ყანური ვთქვათ.

ვიქტორ გაბესკირია





# ახალი დღე



აზხ. ბელა კუნსი.

„1919 წლის 21 მარტს ბუდაპეშტში მუშათა კლასმა აიღო ხელში ძალა-უფლება. იმ დროს ციხეში გამოძვრულ აზხ. ბელა კუნსი წინადადება მიეცა სათავეში ჩადგომოდა უნგრეთის პირველ საბჭოთა მთავრობას.

მიიღო რა მასზე დაკისრებული ვალდებულება, აზხ. ბელა კუნსმა თავის მოვალეობად ჩასთვალა მომხდარი ამბები ეცნობებია მსოფლიო პროლეტარიატის ბელადისათვის.

ჩვენ ქვევით ვთავსებთ რადიოთი ლაპარაკს აზხ. ლენინსა და ბელა კუნს შორის, რომელიც წარმოებდა იმ ისტორიულ დღეს.

- საბჭოთა უნგრეთი.
- საბჭოთა რუსეთი.
- ბუდაპეშტი.
- მოსკოვი.
- რადიოსადგური ჩეპელ.
- რადიოსადგური მოსკოვი.
- უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა სთხოვს

ამხანაგ ლენინს აპარატთან.

- უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა?
- აპარატთან ლენინია. ვთხოვთ აპარატთან

ამხანაგ ბელა კუნს.

— უნგრეთის პროლეტარიატი, რომელმაც გუშინ ღამით აიღო ხელში სახელმწიფო მართველობა და გამოაცხადა პროლეტარიატის დიქტატურა, გესალმებათ თქვენ, საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს. ვთხოვთ გადასცეთ ჩვენი რევოლუციონური სალამი ძღვევამოსილ რუსეთის პროლეტარიატს... უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა წინადადებას აძლევს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას თავდაცვითი და შეტევითი კავშირის დამყარების შესახებ. იარაღით ხელში ვიბრძობოთ პროლეტარიატის ყველა მტრის წინააღმდეგ.

- ლაპარაკობს მოსკოვი.
- ლაპარაკობს ჩეპელი.
- საბჭოთა რუსეთი.
- საბჭოთა უნგრეთი.
- აპარატთან ლენინია. თბილი, ამხანაგური სალამი უნგრეთის საბჭოთა მთავრობას, და პირველ რიგში ამხანაგ ბელა კუნს. თქვენი სურვილები გადავეცი რ. კ. პ. (ბ) ყრილობას. უსაზღვრო სიხარული (ბელა იღეშ)“

1919 წლის 21 მარტიდან 1 აგვისტომდე, 133 დღის განმავლობაში, ევროპის შუაგულში, უამრავი მტრის წინააღმდეგ იარაღით ხელში იცავდა პროლეტარულ რევოლუციას უნგრეთის პროლეტარიატი.

უნგრეთის კომუნა დაეცა. საბჭოთა უნგრეთი ბურჟუეზმა, გენერლებმა და მენშევიკებმა სისხლში ჩააღრჩეს.

მხოლოდ სულელებს და მტრებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ უნგრეთის პროლეტარიატის დაღვრილმა სისხლმა უშუქევოღ ჩაიარა. უნგრეთის პროლეტარული რევოლუციის გაკვეთილი ამოუშლელია მშრომლების მესხიერებიდან.

და დღეს, ათი წლის შემდეგ, ცოცხალია ეს ხსოვნა უნგრეთის კომუნის. და თუ საერთაშორისო ბურჟუაზია დაიწყებს ლაშქრობას პროლეტარიატის სამშობლოს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, უნგრეთის პროლეტარიატი თავის სიმაღლეზე იდგამება და გაამაგრებს პროლეტარიატის მებრძოლ რიგებს.

არაა ქალაქი, არაა სოფელი უნგრეთში, სადაც არ იყოს კომუნარების საფლავები. არაა მხარე ევროპაში, სადაც არ მუშაობდნენ უნგრელი კომუნისტები — ემიგრანტები. არა აქვთ კაპიტალისტებს ისეთი ციხე, სადაც არ იტანჯებოდნენ უნგრელი კომუნისტები და კომკავშირელები.

მაგრამ არც ერთი წვეთი სისხლი არ იკარგება უქმად. უნგრეთის კომუნა, რომელიც კაპიტალისტურ ველურ გარემოცვაში 133 დღე ცოცხლობდა და უსწორო ბრძოლაში სასახელოდ დაეცა, — ცოცხალი ძალაა.

მალე დადგება დრო, როდესაც უნგრეთის პროლეტარიატი საბოლოოდ დასცემს ბურჟუაზიულ წესწყობილებას და აცნობებს წითელ მოსკოვს უნგრეთის პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას!

ჩვენი, პიონერების და მოწაფეების, მოვალეობა საქმიანად დავხმართ საერთაშორისო რევოლუციონურ მებძოლთა ორგანიზაციას, ე. ი. რემედსს, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო პროლეტარიატის მსოფლიო გამარჯვებას.



# მაჯარაჯა



პეშვერს\*) მოცილებულმა ქარავანმა შორი მანძილი განვლო... ოაზისი მაჯარაჯა ჯერ კიდევ არ ჩანდა. სიცხისაგან მოქანცული მოქარავენნი აქლემებს გადაასხდნენ. პატარა ალიმმა უფრო მოთეთრო აქლემი აირჩია.

სიარული ძნელდებოდა. საშინელი სიცხე იდგა. გავრავარებული მზე მხურვალეობას აფენდა მიწას. მხურვალე იყო უდაბნოს სილა, რომელზეც აჩნდა ქაბულისაკენ მიმავალი აქლემების კვალი.

- ალიმ, — დაიძახა მურზამ.
- ააუუ, — იყო პასუხი.
- როგორ ხარ, ალიმ, სიცხემ ხომ არ შეგაწუხა? — შეეკითხა მურზა.

— ქაბულიდან რომ მოვდიოდით, ასეთი სიცხე არ ყოფილა. ეხლა კი აუტანელია. ყოველთვის ასე იცის ამ უდაბნომ? ნეტავი ქარი მაინც ამოიჭრებოდეს, რომ ცოტაოდნავ მაინც გაგვაგრილოს, — სთქვა ალიმმა.

— რად გინდა ქარი? ქარი უფრო ცუდია: საშინელი მტვერი დადგება, ვერაფერს დანახავ. შეიძლება თვალიც დაგივისოს. აქაური ქარი ალაპის რისხვაზე უარესია, — ამბობდა მურზა.

— სიცხეს კიდევ გაუძლებს კაცი, რომ ავაზაკები არ დაგვეცემოდნენ. დღედაღამ მაგონდება შინვარელთა ტომები. წარმოდგენილი მაქვს, რა საშინელი ხალხია ისინი. ალაპის რად არ ეშინიათ, რომ ასე ავაზაკობენ და ხალხს ხოცავენ? — გულშელონებით წარმოსთქვა ალიმმა და აქლემს გადაჰკრა გრძელტარიანი მათრახი.

— შინვარელები კიდევ ვერაფერს ვერ გაბედავენ, რომ მათ არ მეთაურობდეს ცნობილი ავაზაკი ბაჩა-საკაო, — დაიწყო მურზამ.

— ვინ არის ბაჩა-საკაო? — იკითხა ალიმმა.

— ავღანელი ხანია, დიდი გამბედავი ვაჟაკი. ამ ბოლო ხანში შინვარელებთან გაიკეთა საქმე, რამდენიმე რაზმი შეადგინა და ძარცვავს შინვარელთა მხარეში მოგზაურ მოქარავენებს. ბაჩა-საკაო ძალიან საშიში კაცია. არ ეშინია მოწინააღმდეგის ტყვიის. ოცი კაციით ის ას კაცს დაესხმება თავს. ალაპი წყალობს მას. ნიშანში რომ ესროლო ტყვია, მაინც არ მოხვდება, — მიუგო მურზამ.

— კიდევ არიან ქვეყანაზე ასეთი ვაჟაკები, რომელთაც ტყვია არ ეკარებათ? — გაოცებით იკითხა ალიმმა.

— არ ვიცი, ალბათ იქნება. მაგრამ ბაჩა-საკაო მაინც არაჩვეულებრივია. მთელს ავღანისტანში ის ერთი კაცია, რომელსაც ყველაზე უფრო წყალობს ალაპი, — განაგრძობდა მურზა.

ალიმი განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდა მამის ლაპარაკს. ამბებმა ბაჩა-საკაოს ვაჟაკობის შესახებ მას გადაავიწყა სიცხის არსებობა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა შუადღის მოახლოების გამო. ალიმის აქლემი კვალდაკვალ მისდევდა მურზას აქლემს. ბაწრით გადაბმული აქლემების ბოლო ძალიან შორს იყო. ქარავანის შუა ადგილი ეკავა რიჯას, სულ ბოლო აქლემით კი მოდიოდა რიჯას მეზობელი ჯუმა. ქარავანი ნელა მოდიოდა. შუადღის პირზე გამოჩნდა მაჯარაჯა.

— აუუ, მურზა, გაიხედე, გაიხედე. ესეც მაჯარაჯა! — სიხარულით წამოიძახა ალიმმა, როცა შორიდან შენიშნა მაღალ-მაღალი პალმები. მურზამაც თვალი მიაპყრო იმ მხარეს, მაგრამ ვერაფერი ვერ დაინახა.

— აი, აი, ჩემო თვალებო, რა დღე დაგიდგათ! ასე ახლოს ყოფილა მაჯარაჯა და ის ვერ დაგინახავს, აწი ხომ საკუთარ აქლემსაც ვერ შეამჩნევთ, ისე მოგვლენათ ბოლო! — ეს სიტყვები ისე სთქვა მურზამ, თითქოს თვალებს გაუწყრაო და უკმაყოფილოდ გაიხედა თვალუწვდენელ უდაბნოს სივრცეში.

ნახევარი საათის სიარულის შემდეგ ქარავანი მიაღდა მაჯარაჯას. აქლემებმა იგრძნეს პალმების ჩრდილი და სიხარულისაგან ბღავილი მორთეს. მურზამ გასცა ბრძანება:

— აქლემებს ტვირთი მოხსენით, გაგრილებამდე წყალი არ დააღვინოთ, თორემ... — აქ შესწყვიტა მურზამ.

მოქარავენებმა მურზას ბრძანება შესრულეს. აქლემებს ტვირთი ჩამოხსნეს. რამდენიმე კაცი დაუდარაჯდა მაჯარაჯას წყაროებს, რომ აქლემებს დასვენებამდე არ დაეღიათ წყალი. ალიმის აქლემმა მაინც იშოვა დრო, ტვირთისაგან განთავისუფლდა თუ არა, ორივე ფეხით ჩაღდა წყაროში. მთელი ათი

\* ქ და აწყვი ი იბ. № 6-ში.



წუთის განმავლობაში სვამდა წყალს. მოქარავენ ამ ალიმის აქლემი გვიან შენიშნა, მიიბრინა მასთან და მათრახის ცემით ამოავლო წყაროდან. აქლემს არ უნდოდა წყაროდან ამოსვლა, მაგრამ მეტისმეტი ცემისაგან რომ აეწვა ზურგი, იკადრა ამობრძანება. ცოტა მანძილი გაიარა და პალმების ძირას მიწვა. ცოხნას უმატა. პირზე თეთრი ქაფის ბუშტები მოადგა.

— ვაი თუ ავად გახდა შენი აქლემი! — იძვინი წყალი შესვა ამ გახურებულ გულზე, რომ საექვოა მისი გადარჩენა, — სთქვა მურზამ ალიმის ვასაგონად.

— განა წყალი სწყენთ აქლემებს? — იკითხა ალიმმა, რომელსაც მწუხარე გამომეტყველება მიეცოდა თავისი აქლემის მოსალოდნელი სიკვდილის შიშით.

— ცხადია, სწყენს, თუ დაღლილმა დალია. ჯერ უნდა მოისვენოს აქლემმა, შემდეგ დაეწაფოს წყალს, თორემ უდაბნოში დასტოვებს ძვლებს. — ჩაილაპარაკა მურზამ და ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, თუთუნით გაავსო, ასანთს გაჰკრა და ცეცხლი წაუკიდა. ჰაერში თამბაქოს კვამლი დადგა.

— სადილობის დრო არის, ცოტა რამ წავიხეფსოთ, თორემ ასეთ კარგ ადგილს სად ვიშოვით შემდეგ? — სთქვა რიჯამ, რომელიც ეხლახან დაბრუნდა წყაროდან, სადაც მოთეთრო აქლემის სანახავად იყო წასული.

— ჰო, მართლა, სწორედ რომ დროა, — ბანი მისცა მურზამ და ხელით ანიშნა მოქარავენებს, რომ შეკრებილიყვნენ.

მოგროვდნენ მოქარავენნი, გახსნეს თავ-თავიანთი ხონჩები და ამოალაგეს ხმელი ხილი, ბრინჯის ფლავი და ყველაფერი, რაც საგზალი მოეპოვებოდათ. სუფრა პალმის ძირას გაიშალა. მოქარავენნი მადიანად შეექცეოდნენ თავ-თავიანთ ულუფას; მორიგეობის გამო, დროებით არ სადილობდა ერთი მოქარავენე, რომელიც აქლემებს დარაჯობდა, რომ არსად არ წასულიყვნენ. მას ჯუმა ერქვა.

**V. ბაჩა-საკაო.**

შუადღეს გადაშორდა. მზე ცოტათი გადაიხარა უმაღლესი წერტილიდან, მაგრამ სიცხე მაინც დიდი იყო. ხანდახან შემობერავდა ნელი ქარი, რომელიც შკერდს უგრილებდა გზადაგზა მიმავალ სხვა მოქარავენებს. უდაბნოს სიციხისაგან დამწვარ მიწაზე სილა ეყარა. შორით მოჩანდა გადახრუკული ქედები. არსად არ იყო მწვანით მორთული ხე. ამ უდაბნოში ალაპის წყალობა მხოლოდ მაჯარაჯას ხედნოდა წილად: ის მწვანით მოერთო და უდაბნოს თვალად გადაექცია.

ჯუმა დარაჯობდა აქლემებს; მათი უმრავლესობა დაწოლილიყო და იცოხნიდა პალმების ძირას. ნაწილი კი ბალახს ეძებდა, მაგრამ ვერსად პოულობდა; ყველაფერი ფხით იყო გათელილი. ჯუმამ თვალი მოჰკრა წყაროსთან მწოლარე მოთეთრო აქლემს;

აქლემს გაეშვირა ფეხები და საშინელი ბლავილით აყრუებდა იქაურობას. ჯუმას გაუკვირდა აქლემის საქციელი, მივიდა მასთან და მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ილაჯწართმეული აქლემი ხანდახან მოიკრებდა ღონეს, გაჭიმავდა ფეხებს და საზარელი ხმით დაიბლავლებდა, თითქოს ამბობდა:

— შემხედეთ, გაჭირვებული ვარ. დღემდე თქვენი ერთგული მეგობარი ვიყავი, გემსახურებოდი, როგორც შემეძლო, არასოდეს არ მილატნია თქვენთვის; ეხლა კი ვკვდები. ჩემი ძვლები დაიმაჩნება ამ უდაბნოს სილაში. ყვა-ყორნები მოფრინდებიან და დამიწყებენ სხეულის კორტნას. მხეცები დამესევინან და გაძლებიან ჩემი ხორცი. მიშველეთ, არა ვარ ამის ღირსი. რა დამიშავებია, რომ ასე უდროოდ უნდა გამოვეთხოვო ქვეყანას. არ მინდა სიკვდილი. ჩემს სიცოცხლეში ტვრთის ზედის მეტი არაფერი არ გამიკეთებია. ყოველთვის მშიერი ვიყავი. ვიკვებებოდი საკუთარი ქონით. წყურვილით ვიბრჩობოდი. ჩემდა საუბედუროდ, მაჯარაჯას წყალი დავლიე და ამიტომ უნდა მოკვდე?

საზარელი ხმით ბლაოდა მოთეთრო აქლემი. ჯუმას შეებრაღა, მივიდა მასთან და ხელი გადაუსვა შუბლზე, მოეფერა. აქლემმა, თითქოს იგრძნო პატრონის გულთბილი მოპყრობა, თავი წამოსწია, შეხედა ჯუმას და ისევ დახარა თავი.

— მურზა, აუუ მურზა! — დაიძახა ჯუმამ. ჯუმას ხმა ყველაზე პირველად ალიმმა გაიგონა. წამოხტა და უთხრა მამას ჯუმა გეძახისო.

— ალბათ აქლემს უჭირს რაჟი, — სთქვა მურზამ და წამოადგა. სხვა მოქარავენებსაც უთხრა, რომ წასულიყვნენ აქლემის სანახავად.

მოქარავენნი წამოიშალნენ და გაემართნენ აქლემისკენ. მოთეთრო აქლემი საშინლად ებრძოდა სიკვდილს, ფლოკვებს მიწაზე სცემდა მთელი ძალ-ღონით, მაგრამ შველა ძნელი იყო.

— წამალი მაინც გვქონდეს აქ, რა ეშველება ამას, ხომ მოკვდება ჩემი აქლემი! — გაიძახოდა ალიმი და ცრემლი ადგებოდა თვალებზე.

მოთეთრო აქლემმა კიდევ გაიბრძოლა, ერთი მაგრად შებლავლა და უეცრად დადუმდა, ამღვრეული თვალები მურზას მიაპყრო და უფრო გაჭიმა ფეხები. შემდეგ თვალები ნელი-ნელ დახარა და ასე დალია სული.

— საწყალი, საწყალი აქლემი, ჩემი საყვარელი აქლემი! ნეტავი აქ არ მომკვდარიყო მაინც! — გულამოსკენით წარმოსთქვა ალიმმა, ტირილი ვერ შეიკავა და ხელები აიფარა თვალებზე.

— ნეტავი ეს აქლემი არ მომკვდარიყო და სხვას არაფერს ეჩიოდი, მისი ტვირთი და ტყავიც წასაღები გაგვიხდა ეხლა, — სთქვა მურზამ და რიჯას უთხრა:



— წადი, დანა მოიტანე, აქლემს ტყავი მაინც გავხადოთ. გვეყოფა ამდენი ზარალი.


რიჯა უსიტყვოდ წავიდა, დანა მოიტანა და მურზას გადასცა. მურზა შეუდგა აქლემის გატყავებას, რიჯა, ჯუმა და აბასი ეხმარებოდნენ მას. ალიმი კი მოშორდა მათ. არ უნდოდა გატყავებული აქლემის ცქერა. მოიკალათა ერთი პალმის ძირას და ქვითინი დაიწყო.

— საწყალი ჩემი აქლემი, ჩემი საყვარელი აქლემი, — იმეორებდა ის და ხანდახან გაიხედავდა მურზასკენ, რომელიც ხელჩქარა მუშაობდა აქლემის გასატყავებლად.

სალამო ახლოვდებოდა. სიცხე კლებულობდა. მოქარავენები წამოიშალენ და დაიწყეს აქლემების დატვირთვა.

— მურზა, მურზა, გაიხედე იქით, ცხენოსნები მოდიან. აქლემებიც მოჩანან, სროლის ხმა ისმის — შიშისაგან წამოიძახა ალიმმა და მამას შემოეხვია. მურზამ გაიხედა და ივრძნო საშიშროების მოახლოვება. მაშინვე გასცა ბრძანება, რომ მაგრად დახვედროდნენ მოვარდნილ ავაზაკებს.

— უსიკვდილოდ არ დავენებდეთ, ან დავიხოცოთ ან გავიმარჯვოთ. — სთქვა მან და თოფს მოკიდა ხელი.



ქალაქის რაიონის პიონერების მიერ გაკეთებული ავტომობილი კულტლაშქრობის პლაკატებით.

აქლემი გაატყავეს. ტყავი მაგრად დაგორგლეს და აქლემებიდან ჩამოხსნილ ტვირთთან მიიტანეს. მურზა, ჯუმა და რიჯა დაბრუნდნენ იმ ადგილას, სადაც სუფრა ჰქონდათ გაშლილი. მტირალი ალიმიც თან წაიყვანეს, დაუწყეს ფერება.

— ნუ ტირი, ალიმ. შენ სხვა აქლემს გაჩუქებ. რა ვუყოთ მერე, თუ შემთხვევით მოკვდა შენი აქლემი! — აიძვებდა მურზა. ალიმმა უკლო ტირილს. ახალი აქლემის ჩუქების მოლოდინში ცრემლები მოიწმინდა და ლმობიერებით შეხედა მამას. მოქარავენებმა ისევ გააბეს ტკბილი მუსაიფი. ალიმს დროგამოშვებით აგონდებოდა მოთეთრო აქლემი და სწუხდა მის სიკვდილზე.

მოქარავენებმა ხელში აიღეს თავ-თავიანთი თოფები, ვაზნები წელზე შემოირტყეს და პალმების ძირას ჩასაფრდნენ.

ცხენოსნები უფროდაუფრო ახლოვდებოდნენ. მათ მოუძღოდნენ ცნობილი ავაზაკი ბაჩა-საკაო, როცა მოქარავენები დაინახეს, შორიდან ასტყენს სროლა. მოქარავენებმაც უპასუხეს. მაშინ ბაჩა-საკაოს რაზმელებმა გამოაჭენეს ცხენები და ალყა შემოარტყეს მაჯარაჯას. მოქარავენები თავგამოდებით იბრძოდნენ. ალიმი ჩაწოლილიყო წყაროს მახლობლად ამოთხრილ ორმოში და შიშით კანკალებდა. სროლა უფრო ძლიერდებოდა. როცა ავაზაკებმა შეატყეს,



რომ მოქარავენნი ცოტანი იყვნენ, ცხენებიდან ვაღ-  
მოხტენ და პირდაპირ იერიშზე მივიდნენ.

— აბა, ცეცხლი, ცეცხლი ნაგათ, — ხმამალ-  
ლა შეჰკვივლა ბაჩა-საკაომ. ავაზაკებმა უფრო უმატეს  
სროლას. დაუმიზნეს პალმების ძირებს, სადაც მოქა-  
რავენნი იყვნენ ჩასაფრებული. პირველად დაეცა ჯუ-  
მა, შემდეგ აბასი. მურზას მაინც არ უტყდებოდა  
გული, აიძვებდა სხვებს.

— ნიშანში ესროლეთ, ნიშანში, როცა ჩვენ-  
განაც საკადრის პასუხს მიიღებენ, შეშინდებიან და  
გაიქცევიან, — ამბობდა მურზა. მან არ იცოდა, რომ  
ავაზაკებს მეთაურობდა ცნობილი ბაჩა-საკაო, რომ-  
ლის სახელის ხსენება შიშის ზარს გვრიდა შინვარის  
ტომებს და ინგლისელებსაც.

მოქარავენებს შეეშინდათ და სროლა შეწყვიტეს.  
მურზა მაინც ისროდა.

— სანამ ცოცხალი ვარ, არ დავნებდები, — ამ-  
ბობდა ის.

ავაზაკებმა დაიჭირეს მოქარავენნი. ტყვია შუბლ-  
ში მოარტყეს მურზას, რომელიც უსიკვდილოდ  
არ ნებდებოდა მტერს. მურზა იქვე ჩაიკეცა და მა-  
ლე გარდაიცვალა.

— იარაღი დაჰყარეთ! — შესძახა მოქარავენებს ბა-  
ჩა-საკაომ. მისი ბრძანება მაშინვე იქნა შესრულებ-  
ული.

— მოკვეთეთ თავები, — სთქვა მან.

ავაზაკებმა იშიშვლეს ხმლები და მოქარავენებს  
ელვის სისწრაფით მოკვეთეს თავები. შემთხვევით გა-  
დარჩენ ალიმი და რიჯა. პირველი თხრილში იყო  
დამალული, მეორე კი აქლემს ეფარებოდა. ავაზაკებ-  
მა გახსნეს ყუთები, ამოალაგეს ძვირფას-ძვირფასი  
ნივთები, ოთხი აქლემი დატვირთეს და გაუდგენ გზას.  
დანარჩენი აქლემები უპატრონოდ დასტოვეს ოაზის  
მაჯარაჯაში.

ალიმი ვერ ბედავდა თხრილიდან ამოსვლას.  
ეშინოდა, ვაი თუ დამინახონ და სიცოცხლეს გამო-  
მასალმონო. რიჯა ხმამალა ტიროდა. მოთქვამდა  
მამის სიკვდილს და ოჯახის ასე გაუბედურებას. მუხ-  
ლებზე დაჩოქილი ევედრებოდა ალაჰს, რომ ცოცხა-  
ლი გადარჩა. ცოტახნის შემდეგ ირგვლივ მიიხედა-  
მო-იხედა, დაინახა აქა-იქ გაბნეული აქლემები, რომლე-  
ბიც სროლის ხმაზე დამფრთხალიყვნენ და გაფანტუ-  
ლიყვნენ ოაზისის მიდამოებში. რიჯას მოთქმის ხმა-  
ზე ალიმი ამოვიდა თხრილიდან. მას ძალიან გაუ-  
ხარდა, როცა რიჯას მოჰკრა თვალი. მივიდა მასთან,  
გადაეხვია და ტირილით უთხრა:

— მურზა სად არის?

— მურზა და სხვები ავაზაკებმა მოჰკლეს, მე  
შემთხვევით გადავრჩი. მადლობა ალაჰს, რომ შენც  
ცოცხალი დავტოვა ამ ქვეყანაზე.

— რა ვქნათ ეხლა, რა უნდა ვუყოთ ამდენ  
ტვირთს? საწყალი მამა!! საწყალი, აკი ტყვილა არ  
ამბობდა, შინვარის ტომები დამცემლები არიანო, —  
სთქვა ალიმმა.

რიჯამ გონება მოიბრუნა. მის მეტი პატრონი  
ქარავანს ეხლა არ ჰყავდა, შეჯდა ერთ აქლემზე და  
გაბნეული აქლემები მორეკა. იმ ღამით ძმებს არ დაუ-  
ძინიათ. ორივეს თოფი ეჭირა ხელში — მორიგეობით  
გუშაგობდნენ ქარავანსა და ტვირთს. ერთმანეთს აიძე-  
ვებდნენ, — ხვალ ალაჰის წყალობით სხვა მოქარა-  
ენნი გამოჩნდებიან და დაგვეხმარებიანო.

გათენდა დილა. ალიმი მივიდა სისხლით გათან-  
გულ მამასთან. საშინელი სურათი ნახა. პალმების  
ძირას ეგდო მკვდარი მურზა. მის მახლობლად ეყარა  
ჯუმას და აბასის გვამები. იქვე ეგდო დანარჩენი მო-  
ქარავენების მოკვეთილი თავები. ალიმმა ცრემლები  
ვერ შეიკავა და ხმამალა დაიწყო ტირილი: კიდევ  
შეხედა დასისხლიანებულ მურზას, გული გაიმაგ-  
რა და რიჯას უთხრა:

— მე ამას არ შევარჩენ შინვარელებს, როცა  
გავიზრდები, სამაგიეროს გადავუხდო.

— უნდა გადავუხადოთ, უნდა გადავუხადოთ.  
ალაჰმა იმიტომ დავტოვა ცოცხალი, რომ მტრის  
სისხლი ავიღოთ.

ძმებმა ბევრი ილაპარაკეს შურისძიების შესახებ.  
მათ გული უღონდებოდათ, უცქერდნენ დასისხლიანე-  
ბულ გვამებს და უპატრონოდ დატოვებულ ქარა-  
ვანს.

შუადღე მოახლოვდა, ძმებმა შენიშნეს შორი-  
დან მომავალი ქარავანი.

— აი, ალაჰ, აი, ალაჰ! — წამოიძახა რიჯამ, —  
ჩვენი მშველელი გამოჩნდა, აწი არაფერი გვიჭირს  
ალაჰის წყალობით, ისინი დავგეხმარებიან.

ქარავანი გაჩერდა ოაზის მაჯარაჯასთან. მო-  
ქარავენნი აღმოჩნდნენ ქაბულის რაიონიდან. მათ ძა-  
ლიან გაუკვირდათ, როცა საშინელი სურათი იხილეს.  
თვალწინ წარმოუდგათ მათი ახლო მეზობლები, იცნეს  
დასისხლიანებული მურზა, ჯუმა, აბასი და სხვები.  
შეებრაღათ რიჯა და ალიმი.

— ჯურღა, ჯემალ, ბარღა, — თქვენ უნდა გა-  
ჰყვეთ რიჯას და ალიმს ქაბულში, თქვენს აქლემებს  
ჩვენ წავიყვანთ ჰეშავერში, — სთქვა ახლმოსული  
ქარავნის უფროსმა. მან უბრძანა მოქარავენებს, რომ  
დაეტვირთათ მურზას აქლემები, მიცვალებულები  
გაეხვიათ ტყავებში და თავ-თავიანთი პატრონები-  
სათვის ჩაებარებიათ ქაბულში.

მოქარავნის ბრძანება შესრულებულ იქნა. და-  
ტვირთეს აქლემები, აკრიფეს მოკვეთილი თავები,  
მიცვალებულთა გვამები გამოხვიეს ტყავებში და  
აკიდეს აქლემს. გაძარცვული ქარავნის უფროსად  
რიჯა დაინიშნა. მისი ქარავანი გაემართა ქაბულისა-  
კენ. მეორე ქარავანმა კი დაისვენა მაჯარაჯაში.

რამდენიმე დღის შემდეგ რიჯას ქარავანი ჩავი-  
და ქაბულში. ქალაქის მცხოვრებლები აღშფოთებუ-  
ლი იყვნენ ბაჩა-საკაოს მოქმედებით. ჯელილ-ხანი  
სწუხდა დაზარალებას. ალიმი კი ეძებდა შესაფერ-  
დროს, რომ შური ეძია და სამაგიერო გადაეხადა  
ბაჩა-საკაოსათვის. მაშინის თხუთმეტი წლის იყო.



### ინგლისელების აეროპლანი.

აღწერილი ამბავი 1924 წელს მოხდა. ავღანისტანში აჯანყებები ხდებოდა; მოსახლეობა შევიწროებული იყო. ბაჩა-საკაოს რაზმები ქალაქებსაც ესხმოდნენ. ამანულა-ხანის ჯარებმა აჯანყებებს მოუღეს ბოლო. ავღანისტანში სიწყნარე ჩამოვარდა. გადასახალით და მრისხანე ხანების ბატონობით შევიწროებული მა გლეხობამ ხელი მიჰყო შრომას. 1928 წელს ავღანისტანმა ისევ გაიღვიძა. შინვარელები ააჯანყა ბაჩა-საკაომ ინგლისელი კაპიტანის ლოჟრენსის ხელმძღვანელობით. ბაჩა-საკაომ მოითხოვა მთელი რიგი კანონების გაუქმება, ჩადრის ახლის უარყოფა, ჭალთა სკოლის დაკეტვა და სხვა. ამანულამ გაილაშქრა ავაზაკის მოქმედების წინააღმდეგ. ბაჩა-საკაომ შეაგროვა უკმაყოფილო ელემენტები და ინგლისელი ჯაშუშების ხელმძღვანელობით თავს დაესხა ქაბულს. ალიმი მაშინ მოხალისედ იყო ამანულას ჯარში, რომელიც იბრძოდა ბაჩა-საკაოს წინააღმდეგ.

— ინგლისელების აეროპლანი ხშირად მოფრინდება ქაბულში, მაღლიდან ჰყრის ავღანურ და ინგლისურ ენებზე დაწერილ პროკლამაციებს, — გავრცელდა ქაბულში ხმა

ინგლისელების აეროპლანი ყოველდღე მოფრინავდა ქაბულში, სადაც მათი საელჩო იყო. აეროპლანი ჰყრიდა ქალაქებს. ერთი ასეთი ქალაქი ალიმბაც აიღო, როცა მიწაზე დაეარდნო ნახა. ალიმბა კითხვა არ იცოდა. ქალაქი ჯარის უფროსს მიუტანა. ქალაქზე ეწერა:

„ავღანელო ხალხნო, ეს აეროპლანი ინგლისელების არის. მისი მიზანია მშვიდობიანობის დაცვა. არ ესროლოთ აეროპლანს, თუ არ გინდათ სისხლის საშინელი ღვარი დადგეს თქვენს ქვეყანაში. ჩვენ მოფრინავთ იმიტომ, რომ ვნახოთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი საელჩო. ჩვენ არ ვერვით თქვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში. ჩვენ გვინტერესებს თქვენს ქვეყანასთან მეგობრული კავშირი. გვინტერესებს ყურანის მიმდევარი ხალხის სარწმუნოების მტკიცედ დაცვა.“

ჯარის უფროსმა ქალაქი წაიკითხა და თავი გადააქნია. ბრაზი მოერია. ჩუმად ჩაილაპარაკა:

— ვიცი, ვიცი, რაც გინტერესებს ინგლისელებს. ჩვენი ყურანი თქვენ ფეხებზე გკიდიათ, ოღონდ თქვენი ვაჭრობა — მრეწველობა მიმდინარეობდეს კარგად.

ქაბულში ინგლისელების აეროპლანი თეთრი ღროშით შემოფრინდებოდა ხოლმე. დაჰყრიდა მრავალ სხვადასხვა შინაარსის პროკლამაციას, საელჩოს გარს შემოუფრენდა და ისევ გაფრინდებოდა პეშავარიისაკენ. ალიმი ყოველდღე ხედავდა ინგლისელების აეროპლანს. მას გული მოსდიოდა ინგლისელებზე. იცოდა, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ბაჩა-საკაოს, რათა ტახტიდან ჩამოეგდოთ ავღანისტანის ხალხისთვის სასარგებლო ფაღიშები ამანულა-ხანი.

ბაჩა-საკაოს რაზმები თავგამოდებით უტევდნენ ქაბულს. ქალაქის მახლობლად მცხოვრებლებმა დიდი წვალება გამოიარეს. ავაზაკებმა გადასწვეს მრავალი

სახლი. სახლ-კარ გადამწვარი გლეხები უტევდნენ ბაჩა-საკაოს, მაგრამ მალე შეუთრგუნდნენ მას. ხალხში ხმა გავარდა, რომ ბაჩა-საკაო იცავს მაჰმადიანურ სარწმუნოებას ამანულა-ხანის მიმდევართა გახრწნისაგან. ბაჩაც სარგებლობდა ამით, ოციოდე კაცით გაილაშქრა ასი კაცის წინააღმდეგ. ტყვია არ ხვდებოდა, ისე მოხერხებულად იბრძოდა. ხალხმა მას ალაჰის მოციქული უწოდა.

— ბაჩა ყურანის დასაცავად გამოგზავნა ალაჰმა, — ამბობდა ხალხის ბნელი ნაწილი.

ამ შეხედულებას ავრცელებდნენ ამანულა-ხანის რეფორმით უკმაყოფილო მოღლები და ზოგიერთი ხანები და ვაჭრები. ისინი დადიოდნენ ხალხში და ამბობდნენ:

— ბაჩა ალაჰის მოციქულია. ვინც მას არ მიემხრობა, ის ალაჰის წინაშე აგებს პასუხს.

მორწმუნე ავღანელებს სჯეროდათ მოღლების სიტყვა. ალაჰის შიშით ემხრობოდნენ ბაჩა-საკაოს, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა გლეხთა სოფლებს და ხანების სასახლეებს; ის უმოწყალოდ ხოცავდა ყველას, ვინც არ ემხრობოდა მას.

ამანულა-ხანმა იგრძნო ქვეყნის გასაჭირი. ბაჩა-საკაოს მოშორება აუცილებელი იყო ავღანისტანის მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. მან გამოსცა ბრძანება, რომელშიც ეწერა:

„ოცი ათას რუპს მიიღებს ის, ვინც თავს მოჰკვეთს ბაჩა-საკაოს, ან ცოცხლად დაიჭერს მაჰმადიანთა და სამშობლოს მოღალატეს.“

ამ ბრძანებამ მიაღწია ბაჩა-საკაოს ყურამდე. მან თავი მეფედ გამოაცხადა და გამოსცა საპასუხო ბრძანება:

— ორმოცი ათასი რუპი იმ კაცს, რომელიც თავს მოჰკვეთს ფაღიშებ ამანულა-ხანს, ყურანის მტერს და ავღანელი ქალების გამხრწნელს.“

ბაჩა-საკაომ გაძლიერებული იერიში მიიტანა ქაბულზე. ქალაქის მოსახლეობა გაიხიზნა. ვინც მდიდრები იყვნენ, პეშავერში გაფრინდნენ ინგლისური აეროპლანებით. ღარიბები კი ქალაქში დარჩნენ საშინელი ტანჯვა-წამების მოლოდინში.

ფაღიშები იძულებული გახდა დროებით უარი ეთქვა ტახტზე. გადადგა და ტახტი გადასცა თავის უფროს ძმას ინიატიულა-ხანს.


ბაჩა-საკაომ დაიპყრო ქაბული. თავი ხაბიბულად გამოაცხადა. მიკეტა ქალთა სკოლები. ქალები აიძულა ისევ ეტარებინათ ჩადრი.

ამანულა-ხანმა დროებით დასტოვა ქაბული, შეაგროვა თავისი მომხრეები და იერიშით მიდის ქაბულზე. ალიმი და რიჯაც მის ჯარში იბრძვიან. მათ უნდათ ძირს დასცენ ცნობილი ავაზაკი ბაჩა-საკაო, რომელმაც მათი ქარავანი გაძარცვა და ნათესავები დაუხოცა ოაზის მაჯარაჯაში. ისინი ერთგულად იბრძვიან ამანულასათვის ტახტის დასაბრუნებლად, და ახლოა ის დრო, როცა ავღანელი ხალხის ერთსულოვანი მოქმედებით მალე მიაღწევენ მიზანს.

**ვარლამ ურუული.**



საქართველო  
საბჭოთაო



### ფაუისტურ სკოლაში

„ჯოხის ცემის სისტემა — ალბრდის ყველაზე უფრო მისაღები ფორმაა იტალიის სკოლებში. დისციპლინა ხორციელდება სხვადასხვაგვარი დასჯით; თუ მოწაფით უკმაყოფილონი არიან, მაშინ მას რიცხავენ სკოლიდან.

მე ვსწავლობდი კერძო სკოლაში, რომელიც მოწყობილი იყო ხუცესის მიერ. ყველა მოწაფე სკოლაში უნდა გამოცხადებულყო ფაუისტურ ფორმაში. კვირაობით და საეკლესიო უქმეების დღეს მოწაფეებს უნდა მოესმინათ მღვდელმსახურება. ეკლესიაში უნდა ვმდგარიყავით ნუხლომორეკლი 1 1/2 საათი. თუ მოწაფე არ მოვიდოდა ეკლესიაში, მას გაკიცხვას უცხადებდნენ და აიძულებდნენ მოესმინა ხუცესის მთელი ღალადისი.

საღვთო სჯული — ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო საგანია. მღვდელთან ჩვენ ყოველთვის ცუდ განწყობილებაში ვიყავით.

ლოცვებით პირდაპირ გვაწამებდნენ. ვიდრე დავიწყებდით მაცადინობას, ჩვენ გვაიძულებდნენ წავსულიყავით ეკლესიაში სალოცავად. თუ მოწაფემ კარგად იცოდა ლოცვები, ხოლო დანარჩენ საგნებში სუსტი იყო, ის გადაჰყავდათ შემდეგ კლასში.

კადე კარგი, რომ კერძო სკოლას არ ქონდა სკოლის გათავების მოწმობის მიცემის უფლება. ჯერ უნდა ჩაგებარებია გამოცდა სახელმწიფო სკოლაში, ამავე დროს გამოცდის ფული უნდა გადაგებადა და მხოლოდ მაშინ

### გამოცემა.

ვიწერ ჟურნალ „პიონერს“ ორი თვით და ვიწვევ კუჭაიძის სახელობის მარნის თემის ნ/პ ორგანიზაციის შემდეგ წევრებს: 1. ნიკოლოზ ჯანელიძეს, 2. ვერა ნემსაძეს, 3. ქსენია ნოდისა, 4. გრიგოლ ჯანელიძეს, 5. ვასილ ჯანელიძეს, 6. ლიზა ვაჩიშვილს და 7. ლიდა ვაჩიშვილს.

#### პიკორი ილია ანაკიძე.

ს. ცაიშის შვიდწლედთან არსებულ ნ/პ კოლექტივის წევრნი ვიწერთ 4 ცალ „პიონერს“ და 6 ცალ „ოქტომბრელს“ ნახევარი წლით და ამავე მიზნით ვიწვევთ ს. ჭითა-წყლის 4-წლედთან არსებულ ნ/პ კოლექტივის.

#### ცაიშის ნ/პ კოლექტივი.

ვიწერ მესამე კოლექტივის 2 თვით ჟურნალ „პიონერს“ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გორდელაძეს, ყიფიანს, ტატიშვილს, ლომსაძეს, კ. ბარათაშვილს, გიორგი გოგიჩაიშვილს და გიორგი მუმლაძეს.

#### გ. მაისურაძე.

მიიღებდი მოწმობას სკოლის დამთავრების შესახებ. ასეთი სკოლიდან გამოსულ ახალგაზრდობას ჰქონდა ისეთი „ცოდნა“, რომელსაც არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონდა.

გვეკვებავდნენ რალაცა საშინელებით. რაიმეში დამნაშავე მოწაფეებს მცირე ულუფას აძლევდნენ.

კოლეჯში იყო რამდენიმე კარცერი. კარცერი — პატარა ოთახია, ფანჯარას რკინის ხლართი აქვს; ამ „ოთახში“ არის მაგიდა, სკამი და საწოლი ულევბოდ და უსაბნოდ. კარცერი იყო იმ მოწაფეებისათვის, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ცალკე დატულება რამდენიმე დღით. იქ მათ აძლევდნენ პურს და წყალს.

ცხოვრება ძალზე გამწარებული იყო, გაქცევა კი არსად შეიძლებოდა, კოლეჯი ძალზე მოშორებული იყო ქალაქს და ორი ვერსით სოფელს.

ზამთრობით კოლეჯს არ ათბობდნენ, სასიეროდ ჩვენ გამოვდიოდით უბალტოდ. ფორმა გვექონდა, მაგრამ ჩვენ ამას ვატარებდით მხოლოდ საზეიმო დღეებში — კვირაობით და დღესასწაულებში. იშვიათად გვიწყობდნენ რაიმე გასართობს — აი რას გეწერს საზღვარგარეო ამხანაგი ვლადისლავ გიდროცი იტალიის სკოლების შესახებ, რომელნიც ციხეებს და მტვერწყაროებს ეკლესიებს უფრო გვანან, ვიდრე ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნის მიმცემ სახელოსნოებს.

### მუშაობა გამოცხადდა.

ს. ცაიშში (ზუგდიდის მაზრა) ბავშვთა პაონეო-ორგანიზაცია 1924 წელს დაარსდა. პირველ ხანებში მუშაობა კარგ დონეზე იდგა, რაც გამოიხატებოდა საქმიან ხელმძღვანელობაში. მაგრამ ხელმძღვანელის სხვა სამუშაოზე გადასვლის შემდეგ მუშაობამ მიიძინა. კოლექტივი დაშლის გზას დაადგა. ეს იყო 1927/28 წლებში. სამაგიეროდ დღეს კოლექტივის ხელმძღვანელად გამოყოფილი არიან აქტიური კომკავშირელები — ამხ. დ. პაჭკორია და ბენიამინე შანავა. აღნიშნული ამხანაგები დაულალავად მუშაობენ პიონერთა ორგანიზაციაში; 1929 წლის თებერვალში კოლექტივში ირიცხებოდა 180 პიონერ-ოქტომბრელი, რამაც გამოიწვია ორი კოლექტივის დაარსება; თითოეულ კოლექტივში ირიცხება 90 პიონერ-ოქტომბრელი. პირველ კოლექტივს ხელმძღვანელობს ამხ. დ. პაჭკორია და მეორეს კი ბ. შანავა. პიონერებთან და ოქტომბრელებთან ცალკე-ცალკე წარმოებს მეცადინეობა.

კოლექტივში ჩამოყალიბებულია პიკორთა წრე, დრამ-წრე და სხ. გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „წითელი ვარსკვლავი“. გარდა ამისა, პიონერები იწერენ ჟურნალ „პიონერს“ და „ოქტომბრელს“. ვრცელდება აგრეთვე 50 ცალი „ახალგაზრდა კომუნისტი“. გარდა ამისა, პიონერები იღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში, მართავენ უფასო წარმოდგენებს და სხვა, რითაც გლეხობა კმაყოფილია. **ამო ჯანაშია.**



# კოლექტივი № 47

უშაბათის თემის (სენაკის მაზრა) 7-წლიან შრომის სკოლაში ჩამოყალიბებულია ამხანაგ **მამია ორახელაშვილის** სახელობის პიონერ-კოლექტივი (№ 47), ვუშვებთ ორკვირულ კედლის გაზეთს „**ნორჩი ძალა**“; კოლექტივში სხვადასხვა წრეა ჩამოყალიბებული, მაგრამ მუშაობა სუსტია. ხუთი ცალი ჟურნალი „პიონერი“ გვაქვს გამოწერილი. ყველა პიონერს გამოწერილი აქვს „ახალგაზრდა კომუნისტი“. ადგილობრივმა გლეხკომმა გამოგვიწერა „ახალი სოფელი“. პიონერებიდან კომკავშირში გადარიცხულია 6 პიონერი; მათ შორის 2 ქალია.

პიონერი ვანო ჭყონია

## როგორ ჩავატაროთ საბჭოს არჩევნები და წითელი ყაზარმის დათვალიერება

(ქ. ოზურგეთი)

27 თებერვალს ოზურგეთში საბჭოს არჩევნები იყო. დილას თავი მოვიყარეთ პიონერებმა და მოწაფეებმა ცხრაწლედის ეზოში; ჩვენ გვექონდა ასეთი ლოზუნგები: „**არაერთი მშრომელი საბჭოს არჩევნების გარეშე**“, „**ავირჩიოთ საბჭოებში მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველნი**“, „**შორს კულაკი საბჭოდან**“ და სხვა.

დილის 9 საათზე ლოზუნგებით, მუსიკით, დოლით და საყვირით გავემგზავრეთ პიონერები და მოწაფეები დემონსტრაციას. დემონსტრაცია 11 საათამდე გავრძელდა. საბჭოს არჩევნები 12 საათზე დაიწყო. არჩევნებში აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა მშრომელმა და ოზურგეთის „ეპო“-ს, კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედებთან არსებულ ნ. პ. კოლექტივის პიონერებმა: ლოზუნგები გააკარით ჩვენს ბინებზეც, ცოცხალი გაზეთის სპეციალური გამოსვლა მოვაწყეთ და სხვ.

1929 წ. 22 თებერვალს ოზურგეთის „ეპო“-ს ნ. პ. კოლექტივმა მოაწყო ექსკურსია წითელ ყაზარმაში.

იქ ვნახეთ წითელარმიელთა საწოლი ოთახები, საპარკიკმახერო, სასადილო და დაფათვლიერეთ ყველა ასეული, გულდასმით მოვისმინეთ წითელარმიელების მოხსენებები: მათ აღნიშნეს თავისი მდგომარეობა წინეთ და ეხლა; ყოველ მათგანს ჰქონია დანა-ჩანგალი, თეფშები, სუფთა ლოგინი, ორი წყვილი ტანსაცმელი და სხვ. ძლიერ დაცულია პიგეინა. მოწყობილი აქვთ საღორგლო. ყოველ კვირაში აქვთ აბანო. ყველამ იცის წერა-კითხვა. მეცადინეობა სწარმოებს სხვადასხვა წრეში; დღეში სამჯერ საქმელია, საღამოს — ჩაი.

ჩანს, რომ წითელარმიელების მდგომარეობა ძლიერ კარგია.

მათ იციან, თუ როგორ უნდა დაიცვან საბჭოთა კავშირი მტრებისაგან და ვინაა მათი მტრები.

მათ კოლექტივის სახელით მიესალმენ პიონერები და მივუძღვენით პატარა საჩუქარი (ფანქრები და რვეულები).

ბავშვობები ქეთო ვასაძე და ფაკუ მახარაძე.

## ახალი კოლექტივი.

სამი თვეა, რაც ქ. გორის რკ. გზ. სკ. ოთხწლედთან ჩამოყალიბდა პიონერ-კოლექტივი. კოლექტივს აერთიანებს 65 წევრი; ქალია—33, ვაჟი—32. კოლექტივი უშვებს ორკვირულ კედლის გაზეთს „**ლენინის გზით**“. მუშაობა ნაყოფიერია. კოლექტივს ხელმძღვანელობს პარტიული ქალი ვარსენ გუტუქოვი, რომელიც დაუღალავად აწარმოებს მუშაობას.

პიკორი ა. ცაველი.

## რა ხდება ჩვენს კოლექტივში.

ქ. ტფილისის მე-3 საც. საჩ. მთლიან შრომის სკოლასთან არსებობს ნ/პ კოლექტივი. კოლექტივში ირიცხება დაახლოებით 50 ბავში. უნდა აღინიშნოს, რომ პიონერ-კოლექტივის საქმე ვერ დგას სათანადო დონეზე; მიუხედავად იმისა, რომ კოლექტივის ხელმძღვანელს უჯრედისგან ეძლევა მრავალი პრაქტიკული მითითება, კოლექტივში აღმზრდელიობით მუშაობას ის მაინც არ აწარმოებს. პიონერ-კოლექტივის საქმე თანდათან უკან მიდის; კოლექტივის ხელმძღვანელმა ექვსი თვის განმავლობაში რაღაც ორჯერ-სამჯერ ჩაატარა საუბარი, ისიც უმნიშვნელო. კრებების მოსმენა აქ არ შეიძლება: ყვირილი, ჩხუბი და სრული ქაოსი — აი რა არის კრებებზე გამეფებული. საერთოდ ნ/პ კოლექტივის ავტორიტეტი სრულიად დაცემულია (ვისი წყალობით?), სკოლაში მას გაურბიან ახალგაზრდა მოწაფეები. კრებებზე ისმება ინტერეს მოკლებული საკითხები. არის შემთხვევა, როდესაც კოლექტივის კრებაზე ისმება ექვსი-რვა საკითხი ერთად. ოქტომბრელთა შორის მუშაობა სულ არ წარმოებს.

ჩვენს კოლექტივში საქმე კარგად არ არის დაყენებული. საჭიროა ხელმძღვანელმა მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და გააძლიეროს მუშაობა. კოლექტივი სულ არ იცნობს მუშაობის ახალ ფორმებს.

გ. კომუნარიშვილი.

## ჩვენი კოლექტივის უფა-სხოვრება.

სოფელ ნექვში ნორჩ-პიონერთა ორგანიზაცია 1926 წელს დაარსდა. მისი მუშაობა ყოველთვის მოისუსტებდა, ეხლა კი კოლექტივი დაშლის გზაზეა. კომკავშირის ხელმძღვანელობა სუსტია. არ წარმოებს რგოლების მეცადინეობა, არ ტარდება კოლექტივის კრებებიც; რაი-ბიუროს ხელმძღვანელობაც გვაკლია. დროა ბორჯომის რაი-ბიუროს თავმჯდომარემ ამხანაგმა იაშვილმა მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ მოვლენას, რომ კოლექტივის მდგომარეობა გამოსაწოროს.

ბავშვობი ვანო ნათელაშვილი.

## ჩვენი კოლექტივის გუშაობა.

სად. გურჯაანში მუშათა კლუბთან არსებობს ამხ. საშა ოზოლადის სახელობის კოლექტივი. კოლექტივს ხელმძღვანელობს ს. უმანკოშვილი. კოლექტივთან არსებობს სასიმღერო გუნდი, დრამ-წრე და სხვა.

ამ დღეებში ჩავატარეთ უფასო წარმოდგენა, რითაც კმაყოფილი დარჩა საზოგადოება

საშა უტიაშვილი.

## პიონერთა მიღწევები და კედლის გაზეთი ჩვენთან.

(ქუთაისის მაზრის, კინჩხის თემის, ამხ. თ. ჭუმბურიძის სახელობის ნ/პ კოლექტივი).

ხსენებულ კოლექტივში მუშაობა ნაყოფიერია. ვუშვებთ კედლის გაზეთს, ვიწერთ ჟურნალ „პიონერს“ და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“. გარდა ამისა, გამოვიწერეთ პიონერის საპირველმასისო ნიშანი, რომლის ფული გადაგზავნილია მოსკოვში. საბჭოს, რგოლების და ნ/პ კოლექტივის სხდომები დანიშნულ დროზე ხდება.

ვასილ ჯაიანი.





## ზინაური ელექტროტექნიკოსი

ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და მეურნეობის დარგში, ელექტროენერჯის გამოყენება მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაშიც.

თუ წინათ ელექტროს სინათლე მხოლოდ დიდი ქალაქების განათების წყაროს წარმოადგენდა, ესლა იგი ანათებს როგორც ქალაქის ქუჩებს, ისე მუშათა უბნებს, გლეხის ქოხებს და სხვა.

ელექტრო-განათების გამოყენება ახლა იმდენად ადვილია, რომ ის ყველასათვის ხელმისაწვდომია.

მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ არ კმარა იცოდვე ელექტროლამპის ანთება ან გამოცვლა, საჭიროა იცოდვე შენ თვითონ შტეპსელის დადგმა, ელექტროლამპის მოწყობა, ელექტრომავთულების გაყვანა და სხვა.

ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ წინასწარი პირობებიც.

## პოლარული ციალი

პოლუსები დიდი ხანია იზიდავს ადამიანს. ახლაც, როგორც ვიცით, ბერდის ექსპედიცია მუშაობს სამხრეთ პოლუსთან, იკვლევს ბევრ საინტერესო რამეს. სხვათა შორის, მეტისმეტად ლამაზი და მიმზიდველია **პოლარული ციალი**. ეს არის ბუნების ისეთი ლამაზი მოვლენა, რომელიც აოცებს, ხიბლავს ადამიანს. ბუნების სილამაზე მიმზიდველია, მაგრამ წარმოსადგენადაც კი ძნელია, თუ რამდენად ჰომიბილაგია პოლარული ღაჟე. ეს პირდაპირ ზღაპრული საოცრებაა, აქ იმდენი ფერია ერთმანეთში არეულ-შეზავებული, რომ ვერც კი არჩევ, სად იწყება ერთი ფერი და სად მეორე. ცა თქვენს თავს ზევით უზარმაზარ თალივით არის გაშლილი, ის ზევით ლურჯია, უფრო ძირს — მომწვანო, კიდევ უფრო ძირს — იისფერი. ლურჯ თაღზე კაშკაშებენ ვარსკვლავნი, სამხრეთით მოჩანს დიდი მოწითლო-ოქროსფერი მთვარე, რომელსაც ოქროს სარტყელი აკრავს, და მსუბუქი ღრუბელინი, ოქროსფერად შეღებილნი, მოკურავენ ლურჯ თაღზე...

აი ჩრდილოეთის ციალმა გადაათარა ცის თაღს თავისი ბრწყინვალე ვერცხლისფერი ზეწარი, რომელიც ხან ყვითლად ელავს, ხან მწვანედ და ხან კი წითლად; მისი სხივები ხან იფანტება სხვადასხვა მიმართულებით, ხან იკუმშება, თრთის, იცვლება, იყოფა მოფარფალე ფართო ლენტებად და ხიბლავს თვალს. შემდეგ ყველაფერი ქრება. ერთი წამის შემდეგ ვერცხლისფერი ცეცხლის ქნები ელავს ზენიტზე; აი უზარმაზარი სხივი ადის ზევით სპირიზონტიდან, მაგრამ მალე ყველაფერი ქრება მთვარის სინათლეზე. ეს თითქოს უკანასკნელი ამოსუნთქვაა, ის უნდა

ელექტროდენი ელექტროსადგურზე მუშავდება. ელსადგურიდან ელდენი მისიქეფს მავთულებით და რამდენიმე ცვლილების შემდეგ იძლევა სინათლეს.

არსებობს ელდენის გაყვანის ორი საშუალება. პროვინციაში და ქალაქების განაპირა ადგილებში ელდენი გაყავთ ეგრეთწოდებული საპაერო მავთულებით, დიდი ქალაქებში კი მიწაში.

რაში მდგომარეობს ამ საშუალებების შინაარსი? საპაერო მავთულები გაყავთ პირდაპირ ჰაერში, სპილენძის მავთულები ბოძებზეა გაბმული.

მეორეა მიწის — აქ მავთულები გაყვანილია მიწაში. პატარა თხრილებში ჩამარხულია კაბელები, რომელსაც იცავს განსაკუთრებული გარსი სინესტი-საგან და სხვაგვარი დაზიანებისაგან.

შენობაში სინათლის გასაყვანად მიწიდან ამოყავთ მავთული და კაბელი, რომელსაც უფრთებენ ჰაერის ქსელს და ამრიგად აწყობენ განათებას.

სანია

გაქრეს. აქა-იქ კიდევ კრთის მოფარფალე სხივები... მაგრამ აი ეს ციალი ისევ იწევს, ახალი ელვა მრავალი კუთხით მიეჭანება ზევით. რალაც დაუსრულებელი მომზიბლავი თამაშია, და ირგვლივ კი სრული მყუდროებაა. თქვენ ხმა ვერ ამოგილიათ, თქვენ გატაცებული ხართ...

აი, დასავლეთით ჰორიზონტიდან ამოვარდა უზარმაზარი ცეცხლის გველი. ის თაჩდათან უფრო და უფრო ბრწყინავს, თანდათან უახლოვდება ზენიტს. აი ის სამ ნაწილად გაიყო. ჯერ სამივე ერთგვარად ბრწყინავდა; შემდეგ ფერი იცვალეს: სამხრეთით მდებარე გველი ლალისფერი გახდა, ყვითელი წინწკლებით, შუათანა — სულ გაყვითლდა, ჩრდილოეთით მდებარე — გამწვანდა. ამ გველების ირგვლივ ყოველი მხრით გამოვიდა სხავეები, რომელნიც აქეთ-იქით იკლანებოდნენ, ხან სწრაფად, ხან მოდუნებულად. თანდათან ეს პოლარული ციალი ჩრდილოეთით გაემართა და ცის მთელი ჩრდილო ნაწილი დაიჭირა: ეს ციალი — მავნეტური ელვაა, რომელიც არკტიკულ ქვეყნებში წყნარად და ხანგრძლივად მიმდინარეობს და არა უტბად და ხმაურით, როგორც სამხრეთით.

## სისხლის გარეცხვა.

ტაშკენტში პროფ. მიხაილოვსკის ხელმძღვანელობით მეტისმეტად საინტერესო ცდებს აწარმოებენ. ადამიანის სისხლში ბევრი მავნებელი ნივთიერება გროვდება, და ეს პროფესორი ცდილობს ცოცხალ ადამიანს „გაუტრეცხოს“ სისხლი: ცოცხალი ორგანიზმიდან ამოტუმბავენ სისხლის უდიდეს ნაწილს, შემდეგ ამ სისხლს ქიმიურად და ბიო-



ლოგიურად გაწმენდენ და „განახლებულს“ დაუბრუნებენ ისევ ორგანიზმს.

მთელი რიგი ცდები ჩაატარეს უკვე ძალღებზე, შინაურ კურდღლებზე და მაიმუნებზე. ცხოველს უშხაპუნებდენ კან ქვეშ მორთვის სასიკვდილო დოზას, 10-20 წუთის

ცხოველები სისხლის გარეცხვის შემდეგ უფრო ახალგაზრდა და ჯანმრთელიც ჩანდნენ. თუ მოხერხდა ამ ოპერაციის გაკეთება ადამიანზე, ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

**ვეშაპებზე ნადირობა როსის ზღვაში.**

როსის ზღვა ანტარკტიკაშია, სამხრეთ პოლუსთან. იქ ირგვლივ დაცურავს ყინულები, და ქარიშხალიც ხშირია. ნორვეგიელები ვეშაპებზე ნადირობენ იქ, თუმცა ყოველ წუთში მოსალოდნელია დაღუპვა. საშინელი ძნელია ამ ზღვამდე მისვლა, ნორვეგიელები 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> თვეს მიცურავენ იქამდე და 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> თვეც უკან დაბრუნებას სჭირდება. ამრიგად 6 თვე მოგზაურობას სჭირდება, 200 კაცს რჩენა უნდა, საწვავი მასალა უზომო იხარჯება, მაგრამ სამი თვის განმავლობაში, როდესაც ნადირობენ ვეშაპებზე, იმდენს იგებენ, რომ ამ ფულის გულისათვის არაფერს არ ერიდებიან. ერთ სეზონში ჰკლავენ 400-800 ვეშაპს, თითო ვეშაპი კი ძალიან ბევრ მოგებას სტოვებს, მაგ. ლურჯი ვეშაპი ღირს 7500-10000 მანეთი. ვეშაპი ძალიან დიდია: 40 მეტრი სიგრძე აქვს და 80000 კილოს იწონის.

წინათ უბრალო ნავებით ვადიოდნენ ვეშაპებზე სანადიროდ და ხელით ესროდნენ ე. წ. გარპუნებს, მაგრამ მერე გააკეთეს განსაკუთრებული ზარბაზანი, რომელიც ესერის ვეშაპს გარპუნს (გარპუნი 67 კილოგრამს იწონის) და ჰკლავს. გარპუნს აბია მეტად მსხვილი ბაწარი აი, მოხვდა ის ვეშაპს, მაგრამ ვერ მოკლა; შეხტა გამწარებული ცხოველი, გაკურა სწრაფად და წაათრია გემი, თუმცა ამ უკანასკნელმა აამუშავა მანქანები და საწინააღმდეგო მიმართულებით ცდილობს წასვლას. იყო შეთხვევა, როდესაც დაჭრილი ვეშაპი 36 საათს ათრევდა გემს. მეტად საშიშია დაჭრილ ვეშაპთან მიახლოება: მას შეუძლია კულის შემოკვრით დაღუპოს გემი. როდესაც მოკლავენ, მერე ჰაერით ვაბერავენ, რომ ამოტივტივდეს, და დაუწყებენ დაჭრას. მილიონებს იგებენ ამ ნადირობით და ამიტომ არ ერიდებიან „თეთრ სიკვდილს“—ყინულის მთებს, რომლებსაც უნდა გაუსხლტდნენ, რომ როსის ზღვაში შევიდნენ.



პოლარული ციალი.

შემდეგ კი ამოტუმბავენ მისი ორგანიზმიდან მთელი სისხლის 4/5-ს, უმატებენ ერთგვარ სითხეს და ყინვაზე დგამენ მეორე დღემდე. სისხლში უმთავრესია წითელი ბურთულები, რომლებიც მეორე დღეს დალეკილი იყო ძირს, ზედა სითხეს კი, რომელშიც ეს ბურთულები არ იყო, აქცევდნენ, ხოლო დალეკილ სისხლს ისევ უშხაპუნებდნენ ცხოველს. მიუხედავად იმისა, რომ მორთვის გამო აუცილებლად უნდა მომკვდარიყო ცხოველი, სისხლის ასეთი „გაწმენდის“ შემდეგ იგი უვნებელი რჩებოდა. ეს

**ზ რ ე ნ ბ უ რ თ ი**

**მოთამაშეთა რიცხვი** — თითო მხარეს 6—10 კაცი, ორივე მხარეს 12—20 კ.

**თამაშობის ადგილი:** 6—12-მეტრიანი მოედანი.

**იარაღები:** გაბერილი მხატე ბურთი, ორი ჭოკი, რომელსაც დაასობენ გვერდით ხაზებზე ბადის ანუ თოკების გადასაჭიმავად.

**თამაშობისათვის მომზადება:** უნდა შესდგეს ორი გუნდი, 2—10 კაცი თითოში. თამაშობის დაწყების წინ საჭიროა კენჭის ყრა, რომელ მოედნის ნახევარში უნდა დადგეს გუნდი და რომელმა გუნდმა უნდა დაიწყოს ბურთის გადაკვრა. თანახმად წესისა (1, 2, 3), მოედნის მოწყობის და დახაზვის შემდეგ მოთამაშენი იკავებენ ადგილებს(მე-8 წესი). სასურველია თამაშის დროს იყოს წესების მეთვალყურე და მსაჯი, ანუ ხელმძღვანელი.

თამაშის მთავარი შინაარსია ერთი გუნდიდან მეორე გუნდში ბურთის გადაკვრა ბადეს ზევით. იმ გუნდის მოთამაშე (გადამკვრელი), რომელიც იწყებს გადაკვრას, დგება მოედნის მარჯვენა კუთხესთან მოხაზულ კვადრატში და ხელის შემოკვრით უნდა გადააცილოს ბურთი ბადეს და გადაუგდოს მოწინააღმდეგე გუნდს. მოწინააღმდეგე გუნდი კი ცდილობს ბურთის უკან დაბრუნებას. მათი მოწინააღმდეგენიც ამას ცდილობენ. გუნდები უბრუნებენ ბურთს ერთმანეთს იქით და აქით.

ამრიგად თამაში ვაგრძელდება იქამდე, სანამ რომელიმე გუნდი არ დაუშვებს მეცდომას, ე. ი. არ იმოქმედებს წესების წინააღმდეგ (იხ. წესები 18-19).

ყოველთვის, როდესაც დაშვებულია ერთ-ერთი შეცდომა, აღწერილი მე-19 წესში, წაგებულია ერთი ქულა, და მოგებული გუნდი იწყებს ბურთის ხელახლა გადაკვრას.

**წესი 1.** მოედანი ფრენბურთისათვის უნდა იყოს სწორკუთხედი, არა უდიდესი 9-18 მეტრისა და არა ნაკლები 6-12 მეტრის, კარგად მოსწორებული ზედაპირით და შემოხაზული. მოედნის გრძელ ხაზებს ეწოდება გრძელი ხაზები, გვერდისა და მოკლე ხაზებს — პირითი.

2. გვერდითი ხაზები იყოფა შუაზე და ერთდება სწორი ხაზით, ეგრეთწოდებული შუა ხაზით, პირითი ხაზის უკან; მარჯვენა კუთხეში მოედნის ორივე ნახევარებისა, იხაზება კიდევ პატარა კვადრატი—1—2 მეტრი.

3. მოედნის შუა ხაზზე 30 სანტ. სიგანე ბაღე უნდა გადაიჭიმოს. ბადის ბოლოები მიემარება ჭოკებს, რომლებიც დასობილია გვერდით ხაზებზე გარეთ გაშორებით 50 სანტ. შუა ხაზის სისწორედ. ბადის ზედა მხარე დაშორებულია მიწიდან 2 მეტრ. და 30 სანტ.

4. თამაშობისათვის ხმარობენ მხატე, გაბერილ, ფეხბურთის ტიპის რგვალ ბურთს.

5. თამაშის დაწყების წინ კენჭის ყრით სწყვეტენ, რომელ გუნდს მოედნის რომელი ნახევარი შეხვდეს და ვინ დაიწყოს თამაში პირველად.

6. თამაში გრძელდება დაწყების წინ გადაწყვეტილი დროს დასრულებით, ანდა სანამ რომელიმე გუნდი არ მოიგებს 15 ქულას მოწინააღმდეგე გუნდზე აღრე.

7. თამაშში მონაწილეობს ორი გუნდი, 6—10 კ. თითოში.

8. ყოველი თამაშის დაწყების დროს მოთამაშეები ორივე გუნდისა ეწყობაან თავის ნახევარმოედანში ორ მწკრივად, 3-5 კაცი თითო მწკრივში, თითო ან ორი ნაბიჯის დაშორებით წინ, უკან და გვერდებზე.



9. ბურთის მიწოდება. მოთამაშე შედის კვადრატში და ხელმძღვანელის ნიშნის მიცემისთანავე ხელის ან ხელების შემოკერით აცილებს ბურთს ბადეს ისე, რომ ბურთი არ გადაშორდეს მოედნის საზღვარს.

10. მიწოდების შეცვლა (გადაკერის დაწყების). ერთი და იგივე გადამკერული განაგრძობს ბურთის გადაკერას, სანამ თვითონ ან მისი გუნდი არ დაუშვებს ერთ შეცდომათაგანს, აღნიშნულს 18-19 წესებში, რის შემდეგ ბურთის მიწოდება გადაეცემა მოწინააღმდეგე გუნდს ისევე ამ პირობებში.

11. მოსაწოდებლად (გადაკერის დროს) ბურთის დაბრუნების დროს პირველ გუნდში მიწოდებას იწყებს არა ის, ვინც პირველად დაიწყო, არამედ მეორე მოთამაშე, ე. ი. მე-2 ნომერი, პირველი მიდის უკანასკნელი მე-6 ნომრის ადგილას, მე-4 მიდის მე-5 მოთამაშის ადგილას, მე-5 მე-4 მოთამაშის ადგილას, მე-4 მე-3 მოთამაშის ადგილას, მე-3 მე-2 ადგილას და შემდეგშიც ასე იცვლება.

12. ბურთზე დარტყმა. ბურთს შეიძლება დაარტყათ ხელი და ხელები, როგორც მოგეხერხებათ; ბურთზე წელს ზევითა ტანის ნაწილების მიკარება დაშვებულია და უნდა ჩაითვალოს ისე, როგორც ხელის დარტყმა. გუნდმა ბურთს სამჯერ მეტი არ უნდა დაარტყას, რის შემდეგ უნდა გადაგზავნოს მოწინააღმდეგე გუნდის ფარგლებში. ერთსადიამავე მოთამაშეს არ აქვს უფლება ფარჯერ ზედიზედ დაარტყას ბურთს. მეორე დარტყმა შეიძლება მაშინ, როდესაც ბურთს შეეხება მისივე გუნდის რომელიმე მოთამაშე. ბურთის გადაცემა (გადასროლა) დარტყმის მაგივრად დაშვებული არ არის.

13. ორი მოთამაშის ერთსადიამავე დროს ერთად ბურთზე მიკარება ორმავე დარტყმად ჩაითვლება.

14. თუ ბურთი თამაშში წაეკარა ბადეს, თამაში გრძელდება. მოთამაშის ბადეზე მიკარებით წაგებულია ერთი ქულა (ბურთით ბადეზე წაეკარება თამაშის პროცესში დაშვებულია).

15. თუ მოთამაშე დაეკარა შუა ხაზს ისე, რომ შეეხო მოწინააღმდეგეთა მოედანს, მისი გუნდი აგებს ქულას ან მიწოდებას.

16. თუ მოთამაშე, ბურთის უკუმგდებელი, დარტყმამდე გადაიტანს ხელს ბადის ზევიდან, თუგინდ არც

წაეკაროს ბადეს, მისი გუნდი მაინც კარგავს ქულას ან მიწოდებას.

17. ბურთი ჩაითვლება თაშობიდან გამოსულად იმ შემთხვევაში, როდესაც ის გადასცილდება შემდეგ ფარგლებს: ან გვერდით ხაზს, ან პირით ხაზს, ან შუათანა ხაზს მიწაზე წაეკარებით; ბადეს ქვეშ, ანდა ჰაერში უკანასკნელ მომენტში ბურთზე წაეკარებული გუნდი აგებს ან ერთ ქულას, ან ბურთს. ბურთი ჩაითვლება გამოკიდნილად თამაშობიდან მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწას შეეხება; თამაშობას მოედანი საზღვრავს. გარეთ გადარბენა ბურთის დასარტყმელად თავის მხარეზე დაშვებულია.

18. ხელის დაკარგვა. თუ მიწოდებელი მოთამაშე დაარღვევს ქვევით ჩამოთვლილ ერთ-ერთ წესს, იმ შემთხვევაში მისი გუნდი კარგავს ბურთის მიწოდებას, მხოლოდ ქულა კი არ ითვლება წაგებულად.

ა) გადაკერა მოხდა რიგს გარეშე.  
ბ) " " არა კვადრატიდან.  
გ) გადაკერის დროს მოთამაშემ დააბიჯა ფეხი კვადრატის ერთ-ერთ ხაზს.

დ) ბურთი ვერ გადაცილდა ბადეს სხვა მოთამაშის დაუხმარებლად, ანდა ბურთი წაედვა ბადეს.

ე) ბურთი გადაკერის დროს გადასცილდა მოედნის საზღვრებს.

შემოაღნიშნული წესებით იკარგება მხოლოდ ხელი.

19. ქულის წაგებას და ხელის წაგებას გამოიწვევს შემდეგი წესების დარღვევა:



ა) როდესაც ბურთი წაეკარა მიწას.  
ბ) გუნდმა (კომანდამ) თუ დაარტყა ხელი ბურთს სამზე მეტჯერ.

გ) ბურთი თუ წაეკარა მოთამაშეს წელს ქვეით.  
დ) თუ მოთამაშემ ორჯერ ზედიზედ დაარტყა ხელი ბურთს.


ე) თუ მოთამაშემ გადააბიჯა შუა ხაზს.  
ზ) თუ ბურთი გადაცილებულია მოედნის საზღვრებს ანდა გაძვრენილია ბადის ქვეშ.

თ) თუ ბურთი დარტყმით კი არა, არამედ გადაეცა ხელიდან ხელში.

გრ. მახარაძე



სურ. 1-1




სურ. 1-2.



უნდა, რომ ტილოს თავი და ბოლო ქონდეს. ბოლოების გადაღუნვის დროს შეამოწმეთ, აქვს თუ არა ტილოს კვადრატის ფორმა. როდესაც ერთი ტილო მომზადებულია, მის ზომაზე კეთდება დანარჩენებიც. ამ სათვის ნუ დაიზარებთ და აუცილებლად შეამოწმეთ და გაზომეთ ყოველთვის.

**როგორ გავაკეთოთ თვლები?**

თვლები ერთსა და იმავე მანძილზე კეთდება. თუ ტილო ჩვეულებრივი ზომისაა (150 სმ. X 150), ყოველი თვალი დაშორებულია ერთიმეორისაგან 21 სმ., ხოლო ტილოს თითო მხარეზე მოდის 8 თვალი (იხ. ნახ. 3). თვალის დიამეტრი 1 სმ. უდრის; თვალს სჭირდება მსხვილი ძაფით ამოხვევა.



ნახ. № 4.

კუთხის თვლებს დიდი ძალა ადგებათ, ვინაიდან მათზე იქიმება ტილო, ამიტომ მათ ზემოდან და ქვემოდან ტყავის ნაჭრებს აკერებენ. თვლები გააკეთეთ მონდომებით და სისწორით, ვინაიდან თუ ისინი დაშორებულნი იქნებიან უსწორმასწოროდ, თქვენ ვერ დადგამთ კარავს. აქ საყვებით გამართლებულია ხალხური ანდაზა: „ცხრაჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერი“.

გაკეთებთ რა თვლებს, შეიძლება ტილო გამზადებულად ჩაითვალოს. ძალზე სასარგებლოა ყოველი ტილოს კუთხეში ძაფით ამოჭკეროთ რაზმის მთელი სახელწოდება და კარავის ნომერი.

ახლა ის-ღა დაგვრჩენია, გავაკეთოთ პალოები, სარები და თოკი გავაზადოთ.

**პალოების** გაკეთება ბავშვებს შეუძლიათ 2-2 1/2 სმ. სისქის ფიცრიდან. თითოეული პალო სიგრძით უნდა იყოს 25 სმ. და სიგანით 3 1/2 სმ. პალოს ბოლოს წაუმახვავენ, ხოლო თავთან ამოჭრიან, რომ ბაწარი გამოსდონ (იხ. ნახ. 5).


**სარებს** ჩვეულებრივ დასაშლელს აკეთებენ, შეიძლება მთლიანიც გაკეთდეს, რაც გაცილებით უფრო იოლია, მაგრამ მათი ტარება ძნელია. დასაშლელი სარი ორი ნაწილისაგან შესდგება: ქვედა ნაწილს ერთ თავზე თუნუქის მასრა აქვს, რომელშიც უნდა ჩაიდოს სარის ზედა ნაწილი. ეს ორივე თავი ირიბადაა მოჭრილი (იხ. ნახ. 6).

ზედა სარს მოპირდაპირე თავი წამახული აქვს (იხ. ნახ. 6) მასზე წამოეცმევა ტილოს გვერდის თვლები. სარის საერთო სიმაღლე 125 სანტიმეტრია.

**თოკები.** თოკის ერთ თავზე უნდა დაახვიოთ მკედი, ან სხვილი ძაფი, რომ თვალში გაყრის გამო არ დაიძინდოს, ხოლო მეორე თოკზე უნდა გაკეთდეს თვალი სარზე ჩამოსაცმელიად. როგორ უნდა გაკეთდეს ეს — ნაჩვენებია ნახატზე № 7.



ნახ. № 7.




ნახ. № 5.

ლა ნაწილი მზად იქნება, ასწავლეთ ბავშვებს მისი დადგმა. უმჯობესია პირველად ამეცადინოთ მხოლოდ წინამძღოლნი და მათი თანაშემწეები. დე, წინამძღოლებმა თვითონ ასწავლონ ბავშვებს კარავის წესიერად დადგმა. გარდა ამისა, უნდა აუხსნათ კარავის და თითოეული ტილოს, როგორც ნივთის, მნიშვნელობა. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ კარავი მათ მშვენიერად დაიფარავს წვიმისაგან, პაპანაქებაში კი იქ შეფარებენ თავს, ცივ დღეს კი იქ შეიძლება გათბობა. ჩვენ დიდხანს შეგვხვედრია კარავში ცხოვრება შემოდგომაზე, იქ ზუხარი გავაკეთეთ, და სითბოც იყო და სიმშრალეც.

თვითონ ტილოს, გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, სხვა ათასგვარი დანიშნულებაც აქვს. დავასახელოთ მხოლოდ ზოგიერთი.

უპირველეს ყოვლისა ეს ტილო ძალიან კარგია იმისათვის, რომ ქვეშ დაიგო და დაწვე მიწაზე, ამისათვის ხავს ან თივას თანაბრად გაშლიან მიწაზე, გადააფარებენ ტილოს, რომლის კუთხეებსაც პალოებით დაამაგრებენ. ლეგებზე ძალიან სასიამოვნოა წოლა მზის გულზე მკვდარი საათის დროს. გოლვის დროს, თუ ღამით წვიმის მოსვლა არაა მოსალოდნელი, მასზე შეიძლება წოლა პირდაპირ ცის ქვეშ.



ნახ. № 8.

ტილოს გვერდით თავებს გაუყარეთ თოკები და გააბით ხეებს შორის - მშვენიერი გამაკი გამოვა. ასეთ გამაკში ძალიან სასიამოვნოა დასვენება.

იპოვნეთ ტყეში ორკაპა ჯოხები (იხ. ნახ. 8), ჩაასეთ მიწაში და თქვენი ტილოს გამოყენებით გააკეთეთ სავარძელი დასასვენებლად.

როდესაც წვიმა წამოვა, ტილო შუაზე გაკეცეთ და ერთ მხარეზე თვლებში თოკი გაუყარეთ. თუ დრო გაქვთ და ჯერ კიდევ არ გაწვიმთ, შეიძლება მსხვილი ძაფით გაკეროთ რივიანად. შემდეგ ამ გაკერილ ტილოს გადმოაბრუნებთ და თავზე ჩამოიცვამთ. ეს „პლაში“ საკმაოდ კარგად დაგიფარავთ წვიმისაგან. ასეთ „პლაშიებს“ აკეთებენ ტომრებისაგან.

ლაშქრობის დროს ტრიალ ადგილას ტილოსა და ოთხი ჯოხისაგან შეიძლება გაკეთდეს ქოლგა, რომელიც მშვენიერად დაგიფარავს მზის მწველი სხივებისაგან. ასეთი ქოლგა ოთხ პიონერს მიაქვს.

კიდევ შეიძლება და ამ ტილოს გამოყენების მრავალი მაგალითის მოყვანა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.





# გაგოლის 1929 წ. გაგოლის

საყმაწვილო დასურათებული  
→ **ჟურნალი** ←

მოზარდობის

## პიონერი

ორკვი-  
რეული

IV წ.

მიიღება ხელმოწერა 1929 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.
- სალპე ნომერი — 25 კაპ.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია: მარიამ ორახელაშვილი, აკ. მახათაძე, ვ. ლუარსაბიძე, ალ. მაშაშვილი და გ. აბესაძე

### უ ი ნ ა ა რ ს ი:

1. ათი წელი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სათავეში . . . . .	1.	83.	5. ის ოცდაცამეტი დღე-ღ-ვ. . . . .	6.	83.
2. საჩუქარი—ა. მ—ი . . . . .	2.		6. მაჯარაჯა—გ. ჟურული . . . . .	7.	
3. გადავდივართ მუშაობის ახალ სისტემაზე—მ. ელი-ჯარაშვილი . . . . .	4.		7. გაზეთი . . . . .	12.	
4. ლექსები:—თესვის კამპანია—გ. ლომიძე, საგაზაფხულო—გ. გაბესკირია, მშრომელი კალი—გ. ჯაბუშანური . . . . .	5.		8. მეცნიერება და ტექნიკა . . . . .	14	
			9. როგორ მოვემზადოთ ჩვენი ბანაკობისათვის—გარე-კანზე.		